პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 109 (20450) ✦ ხუთშაბათი, 11 მაისი, 1989 წელი. ✦ ფასი 3 კაპ.

მუშაობის მწყობრი რიტმი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად ენერგიულად შრომობენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშრომელები. მეტალურგთა მუშაობის მწყობრი რიტმი იმის გარანტიას იძლევა, რომ წარმატებით შესრულდება სახელმწიფო დავალება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათებზე: ოცდაათ წელზე მეტია რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობს მეორე და მესამე ხარისხის შრომის დიდების ორდენების კავალერი, საპატიო მეტალურგი ომარ წითლიძე; მარტენის საამქროში.

საქინფორმის ფოტო.

ვიყოთ მდგომარეობის სიმაღლეზე

9 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე შეხვდა რესპუბლიკის დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ ვითარება თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში მთლიანად მოწესრიგდა — ყველგან მიმდინარეობს მეცადინეობა, სტუდენტები ესწრებიან ლექციებ-სემინარებს, ემზადებიან გამოცდებისათვის. მაგრამ აპრილის დამდეგის მოვლენებმა მრავალი ნაკლოვანება წარმოაჩინა აღმზრდელობით პროცესში. ჯერჯერობით საზოგადოებრივ დისციპლინთა სწავლება ჩამორჩება დროს, მიმდინარეობს ძველებურად. წინა პლანზე დგება რესპუბლიკასა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ მასწავლებელთა და სტუდენტთა უკეთ და დროულად ინფორმირების კონკრეტული ამოცანები. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ 9 აპრილს მოპხდარი მოვლენების გამოძიება უნდა წარიმართოს სრული ობიექტურობისა და საჯაროობის ვითარებაში, გამოაშკარავდება მთელი სიმართლე და დამნაშავეები საკადრისად დაისჯებიან.

შეხვედრაზე დაისვა მთელი რიგი კონკრეტული საკითხები, რომლებიც დაუყოვნებელ გადაწყვეტას მოითხოვენ. ასეთ საკითხებს განეკუთვნება ზოგიერთი დისციპლინის მასწავლებელთა მომზადება, მთელი რიგი სგნების სახელმძღვანელოთა გამოცემა ქართულ ენაზე, საქართველოს იატორიის უმაღლეს სასწავლებელთაშორისი კათედრის შექმნა და მთელი რიგი სხვა საკითხები. ითქვა, რომ საჭიროა გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი, ისწავლონ სტუდენტებთან თანასწორი დიალოგის წარმართვა ყველა პრობლემაზე, მათ შორის ისეთებზეც, როგორიცაა რესპუბლიკის სუვერენიტეტის გაფართოება და მისი ეკონომიკის განმტკიცება, რაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია უმაღლესი სასწავლებლების მიერ სპეციალისტთა მომზადების ხარისხზე.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სტუდენტთა წლევანდელი მესამე შრომითი სემესტრი მთლიანად მოეწყობა საქართველოს ტერიტორიაზე. სახალგაზრდობა იმუშავებს განათლების ობიექტების მშენებლობაზე, ისტორიისა და კულტურის ძეგლების აღდგენაზე, ეგრეთვე ზოგიერთ ძველ სოფელში, სადაც ბრუნდება მოსახლეობა. მრავალი სტუდენტი გაემგზავრება მთიან აჭარაში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად.

მიმდინარე წლის მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით დიდი ამოცანები ისახება უმაღლესი სასწავლებლების წინაშე. გამოცდები უნდა გაიმართოს საჯაროობის პირობებში, რათა ყოველი აბიტურიენტი დარწმუნებული იყოს თავისი ცოდნის ობიექტურ შეფასებაში.

კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ უმაღლესი სასწავლებლების რექტორატები, მასწავლებლები უნდა იყვნენ მდგომარეობის სიმაღლეზე, უნარი შესწევდეთ გაიყოლიონ სტუდენტები, ჩამოაყალიბონ საზოგადოებრივი აზრი.

შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრი გ. ნ. ენუქიძე.

(საქინფორმი).

ბიუროს სხდომა

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კომისიის სხდომა სამართლებრივი პოლიტიკის რეალიზაციის საკითხებზე. მის მონაწილეებმა აცნობეს, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობისათვის.

რუსუბლიკის კომუნისტებისადმი, მშრომელებისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვისა და იმ თხოვნის შესახებ, რომ აქტიურად ჩაებან გარდაქმნის ახალ ნდელ, გარდამტეხ ეტაპზე ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სრულყოფის საკითხებისადმი მიძღვნილი პლენუმის მომზადებაში, კომისიისა და შექმნილი სამუშაო ჯგუფების წევრებს წერილადდა მიეცათ წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებანი. მიეცემულია აგრეთვე დავალებანი წარმოადგინონ თავიანთი წინადადებანი ეროვნებათშორისი ურთიერთობის სრულყოფის შესახებ, რომლებიც გამოყენებული იქნება ამ საკითხზე მუშაობის დროს.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის - ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ა. ანჩაბაძე.

(საქინფორმი).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ

ჩუვაშეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე არკადი პავლეს ძე აიდაკი და ნოვოსიბირსკელი ელექტრომემონტაჟე ნინო მიხეილის ასული პირიაზევა, ყირგიზი მასწავლებელი ბეგთურ სადიკის ძე ისაკოვი და მინსკელი ხარატი ლეონიდ ლეონის ძე დიუსოვი, ხარკოველი მწვესავი ოლღა პავლეს ასული იაროვაია და ჩერკასის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი ალიმ ივანეს ძე ჩაბანოვი... ამ ადამიანებს სხვადასხვა ბიოგრაფია აქვთ, სხვადასხვანაირად ყალიბდებოდა მათი ბედი. მაგრამ მათ, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს, ისევე როგორც ჩვენი რჩეულების უმრავლესობას, აქვთ ის საერთო, რაც მათ შეკიცე კავშირით ერთიანებს, — ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობა. ამომრჩეველთა ნდობა მათ ჩინებთა და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით კი არა, თავიანთი ავტორიტეტით, გარდაქმნაში თავიანთი პოზიციით მოიპოვეს.

საბჭოთა ადამიანებს სწამთ პარტიის, ეკიდებიან მას როგორც ერთადერთ მაორგანიზებელ ძალას, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს და საბოლოო ანგარიშით უზრუნველყოფს კიდეც საზოგადოების ძირეულ განახლებასა და მის კონსოლიდაციას გარდაქმნის პლატფორმაზე. ამავე დროს გადასაწყვეტ ამოცანათა გართულების კვალობაზე ცხადი გახდა სხვა რამეც: მხურვალედ უჭერენ რა მხარს

მიმართავთ სკკ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲒᲔ

პარტიას მის ნოვატორულ მისწრაფებებში, ადამიანები დღეს კომუნისტებისაგან ელიან უფრო ენერგიულ მოქმედებას, პრაქტიკულ შედეგებს, რომლებიც უწინარეს ყოვლისა დაკავშირებულია მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან. სკკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე პირადად ითქვა: თუ ვიმოქმედებთ ისე, რომ ვუმეთაურებთ ხალხის საზოგადოებრივი აქტიურობის ზრდის პროცესს, გარდაქმნის საქმე წავა წინ დასახული კურსით, და პარტია მშრომელთა კიდევ უფრო მეტ მხარდაჭერას მიიღებს. ინიციატივის დაკარგვამ კი შეიძლება სერიოზული, ზოგჯერ კი აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენოს გარდაქმნას, წარმოშვას დამატებითი ზნეობრივი, სოციალური პოლიტიკური და სამეურნეო უფსრეგობანი. ამგვარი რამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს.

პარტიული ორგანიზაციები დღეს მეტად რთულ პირობებში მუშაობენ. მიმდინარეობს დამკვიდრებული სტერეოტიპების მსხვრევა, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სტილის აღმოფხვრა. ეს ღონისძიებანი ხორციელდება საარსებო ამოცანების უფრო წარმატებული გადაწყვეტისათვის — დემოკრატიზაციისა და საჯაროობის შემდგომი განვითარების, ეკონომიკური რეფორმის განხორციელების, სუფრასთით, საკონლით, ბინით ადამიანთა უზრუნველყოფისათვის. გარდაქმნამ გააააქტიურა მასები, და კომუნისტი გვერდზე ვერ განუდგება მიმდინარე პროცესებს, უწინარეს ყოვლისა მან უნდა გაზარდოს მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი, იყოს ყველა მოვლენის ცენტრში. ასეთი და მხოლოდ ასეთი პოზიციებიდან უნდა ვუდგებოდეთ ახლა გარდაქმნის ბედისათვის კომუნისტის პასუხისმგებლობის განსაზღვრას. მისი ვალი და მოვალეობაა ტონს აძლევდეს საერთო მუშაობას. „წინათაც, — სწერს „პრავდას“ კომეროფოელი ვ. სამოილოვი, — ხმამაღლა გაისმოდა მოწოდებები გავალიერთ პარტიის წევრთა ავანგარდული როლი. მაგრამ ბევრი, ჩემი აზრით, ამ მოწოდებებს აღიქვამდა რაღაც ანსტრაქციად, თავისებურ რიტუალურ შეძახილებად. ისინი კი, ვინც გულწრფელად ეხმაურებოდა მათ, ხშირად გულცრუებული რჩებოდნენ რაკი ხვდებოდნენ პარტორგანიზაციაში ახრანგების გულგრილობას გამოვლენილი ინიციატივისა და ყველაფრისადმი, რაც ირგვლივ ხდებოდა. ვფიქრობ, დადგა დრო მკაცრად მოვკითხოთ თითოეულ კომუნისტს: „რით ამტკიცებ შენს პარტიულობას — მაქსიმალური შესაძლო წვლილით საერთო საქმეში თუ მხოლოდ საწევროს შენატანების გადახდითა და კრებებზე დასწრებით!“

ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე, ვ. ი. ლენინი მოითხოვდა „უმეცრებად გვედევნებინა თვალი იმისთვის, რომ პარტიულობა ყოფილიყო არა მარტო სიტყვა, არამედ საქმე“. ვინ უნდა ზრუნავდეს დღეს ამისათვის? რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, პირველადს პარტორგანიზაციებზე, რომლებშიც შექმნილ ატმოსფეროზე, აქტიურობის დონეზე დამოკიდებული პოლიტიკური მებრძოლების, კოლექტიურად შემუშავებული გზის გამტარებლების ჩამოყალიბებასა და დაკავკაცებაზე. სწორედ აქ უნდა ამარტდნენ კომუნისტები ნიადაგ ანგარიშს იმის თაობაზე, თუ როგორ ცხოვრობენ და მუშაობენ, როგორ იცავენ პარტიულ დისციპლინას, პრაქტიკულად რას აკეთებენ გარდაქმნისათვის. პირველადი ორგანიზაციების განკარგულებაშია ბევრი საიმედო მეთოდი, რომ შეამოწმონ, შეეხებამება თუ არა პარტიის წევრთა და წევრობის კანდიდატთა საქციელი, ქცევა სკკ წესდებისა და პროგრამის მოთხოვნებს. ყველგან ყურადღებით უნდა ვნახოთ, მთლიანად იყენებენ თუ არა არსებულ „არსენალს“.

ეი ხაგულისხმო ფაქტი. აზერბაიჯანში ახლა ეწყობა კომუნისტებთან გასაუბრებანი, რომლებიც შესაძლებლობას აძლევთ მათ უფრო აქტიურად ჩაებან გარდაქმნაში, პარტიულ კომიტეტებს კი ოპერატიულად შეასწორონ თავიანთი საქმიანობა, განამტკიცონ კავშირი მასებთან. კომუნისტები საუბრებში პირდაპირ აცხადებენ: პირველად მოგვიწვიეთო პარტკომში, პირველად გვესაუბრებიან ასე გულახდილად, სურთ იცოდნენ, გაითვალისწინონ ჩვენი აზრი. პირველად? ალბათ ძნელია მოვიყვანოთ უფრო მკვეთრმეტყველური ახსნა ბევრი აქაური პარტორგანიზაციის სულ ცოტა ხნის წინანდელი გაურკვევლობის, პოზიციების მერყეობის, პასიურობისა.

სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ტრიბუნიდან გამოითქვა აზრი, რომ პარტიული კომიტეტები ჯერჯერობით შეიარაღებული არ არიან პირველადს პარტორგანიზაციასთან მუშაობის ქმედითი „ინსტრუმენტით“, ხოლო კომუნისტის სახესთან, მის პარტიულ არსთან, მის საქმეებთან, პარტიისათვის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პრობლემატიკა კი მოითხოვს ცალკეულ საფუძვლიან განხილვას. ასეთი მიდგომა, როგორც ვფიქრობთ, ნაკარნახევია თავად ცხოვრებით, ახლანდელი სიტუაციის ანალიზით. მაგრამ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამართული დისკუსიის მონაწილეთა აზრით კომუნისტებს არ შეფერით გულხელდაკრეფილი ისხდნენ რაღაც დამატებითი მითითებებისა და რეკომენდაციების მოლოდინში, ისევე როგორც პანიკას მიეცნენ სიძნელეებთან შეჯახების დროს ან ამყვნენ დემაგოგებს, არაჯანსაღ განწყობილებებს. უნდა ვიმოქმედოთ. ამასთან ვიმოქმედოთ უფრო გაბედულად, შემართებით! უკუაგდებენ რა ყოველგვარ ცდებს შეაფერხონ წინსვლა არჩეული გზით, საზოგადოება კვლავ გადაჩეხონ უძრაობის მორევში, კომუნისტები ახეთი მტკიცედ უნდა ილაშქრებდნენ აჩქარების, ამბიციურობის, ცრუმეამრცხენული გადახრების, ექსტრემიზმის წინააღმდეგ. სადაც უნდა მუშაობდეს კომუნისტი, რა ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივ მოძრაობებშიც უნდა მონაწილეობდეს, იგი მოვალეა პრინციპულად ებრძოლოს პარტიის გეზს, ეურნალისტიკაში XXVII ყრილობის, XIX პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს.

უნდა გვახსოვდეს, რომ პარტია პასუხისმგებელია თავისი თითოეული წევრისათვის, ის კი თავის მხრივ პასუხისმგებელია მისთვის. ამასთან საჭიროა განუხრელად ვასრულებდეთ ლენინურ პრინციპს: პარტიის ყველა საქმეს აკეთებს ყველა კომუნისტი, თანაბარი უფლებებითა და ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. კოლექტიური მეცადინეობაა წარმატების საწინდარი. მაგრამ, როგორც გამოცდილება მოწმობს, კომუნისტის ნებისმიერ გარდაქმნაში, ცხოვრების ყველა სფეროს განახლებაში მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება, რაც უფრო მომთხოვნელად მოეკიდება თავის თავს, უფრო დამოუკიდებელი იქნება თავის მოქმედებაში, საქციელში. მოდგი მოუსვენრობა, გაკეთებულით დაუკმაყოფილებლობა, თვითკრიტიკულობა ის უნართან შეხამებით, რომ იპოვოს ნამოქმედი ამოცანების გადაწყვეტის გზები და ხერხები, გაიყოლიოს ადამიანები, მისი მაგალითის ქმედითობის საწინდარია.

კომუნისტები გულგრილად ვერ მოეკიდებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიიდან ზოგიერთი ამხანაგის გამოსვლის შემთხვევებს ან პარტიის რიგებში შესვლაზე უარის თქმას. უნდა ვიმოქმედოთ დარწმუნებით, ადამიანებს უწინარეს ყოვლისა ვზრდიდეთ პირადი მაგალითით, ვუნერგავდეთ პატივისმცემლურ დამოკიდებულებას პარტიისადმი. ამასთან უნდა გვახსოვდეს ახალგაზრდა თაობა, მუდმივი ზრუნვა ახალი ცვლისათვის, იმათთვის, ვინც ხვალ ქვეყნის საკეთილდღეოდ უნდა იმუშაოს, — იყო და არის კომუნისტთა უმნიშვნელოვანესი ტრადიცია.

მალე გაიმართება ხალხთა დეპუტატთა ყრილობა. მის მონაწილეთა უმრავლესობას სკკ წევრები შეადგენენ. უპარტიოებთან ერთად მათ მოუწევთ ქვეყნის შემდგომი განვითარების მომწიფებული ამოცანების განხილვა, და კომუნისტთა პრინციპულობაზე, პასუხისმგებლობაზე, აწონ-დაწონილ გადაწყვეტილებებზე, პარტიული პლატფორმით შეკავშირებაზე ბევრად იქნება დამოკიდებული ამ ყრილობის წარმატება. პარტიამ, აღინიშნა სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა გარდაქმნის პირველ ეტაპზე. დღეს მისი საქმიანობის არსია გარდაქმნის პოლიტიკის განხორციელება, თითოეული პარტორგანიზაციის, თითოეული კომუნისტის პრაქტიკული საქმეები.

ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

10 მაისის მოწინავე

გამარჯვების დღესასწაულის პატივსაცემად

სამშობლოს დამცველებს, რომლებმაც გაუძღვნეს ფაშიზმთან სამკვდრო-სიცოცხლო ბრძოლას, მარად მადლიერებით მოიხსენიებს ხალხი. საქართველოს დედაქალაქიც მთელ ქვეყანასთან ერთად სათანადო პატივი მიაგო მათ — დაღუპულებსაც და ცოცხლებსაც. თბილისში 9 მაისს გამართულ ცერემონიებში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხვა წევრები.

ტრადიციისამებრ, გამარჯვების დღესასწაული დაიწყო. ყვავილების მიტანით. ქალაქის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა ყვავილებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი რევოლუციის ბელადის სახელობის მოედანზე, ყვავილები მიიტანეს გამარჯვების პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავზე აღმართული მემორიალის მარადიულ ცეცხლთან.

ამ პარკის ხეივნებში ყღერდა ომის წლების მუსიკა, დიდი სამამულო ომის თმაშევერცხლილი ვეტერანები და მეომართა შვილშვილები ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ საქართველოს 700 ათასი წარგზავნილი წვიდა ჯაბორიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი ომის ფრონტებზე და ყოველი მეორე ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას. ფრონტელები კი, რომელთა რიგები, სამწუხაროდ, წლითიწლობით კლებულობს, უწინდებურად რჩებიან მწყობრში, ზრდიან ახალ თაობებს, აქტიურად მონაწილეობენ გარდაქმნაში.

დღესასწაულის კიდევ ერთი ტრადიცია — ლისის ტბის ნაპირზე, წითელი პარტიზანების სახელობის პარკში დანთებული კოცონი. იგი ანთეს შეხვედრაზე იმათ, ვინც ჰედდა ფაშიზმზე გამარჯვებას სახალხო შურისმაძიებელთა რიგებში. როგორც წინა წლებში, მათთან ერთად იყვნენ იტალიელი სტუმრები — ანტიფაშისტური წინააღმდეგობის მონაწილენი. მათთან ერთად მშობლიურ მიწა-წყალს ათასობით კილომეტრით დაშორებულნი გარიბალდელთა რაზმებში შეუერთოვრად იბრძოდნენ საქართველოს შვილები.

ქალაქის სხვადასხვა კუთხეში ძეგლებთან და მემორიალურ დაფებთან, ომის გმირების სახელობის ქუჩებში ათასობით თბილისელი პატივს მიაგებდა ამ დღეს დაღუპულთ, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას უსურვებდა მათ გვერდით მცხოვრებ ფრონტელებს.

გამარჯვების დღესასწაულისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიები გაიმართა 9 მაისს რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში. (საქინფორმი).

მიეძღვნა დაღუპულთა ხსოვნას

უფუფეტია ხალხის ნაკადი გამარჯვების დღესასწაულზე ალექსანდრეს ბაღში უცნობი ჯარისკაცის საფლავთან. 9 მაისს აქ მოვიდნენ მოსკოველები, ქვეყნის სხვა ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლები, საზღვარგარეთელი სტუმრები, რათა მადლიერების პატივი მიაგონ იმ გმირთა ხსოვნას, რომლებმაც გადაარჩინეს საშობლო და მთელი მსოფლიო ფაშისტთა შემოსევისაგან.

უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინებით შეამკეს სკკკ მოსკოვის საქალაქო და საოლქო კომიტეტების, მოსკოვის საბჭოსა და მოსკოვის საოლქო საბჭოს სახელით.

გვირგვინებით შემკობის ცერემონიაში მონაწილეობდნენ სკკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სკკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ნ. ზაიკოვი, სკკკ მოსკოვის საქალაქო და საოლქო კომიტეტების მდივნები და ბიუროების წევრები, ომისა და შრომის ვეტერანები, დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები.

ჯარების მწყობრი გარინდებულა კრემლის გალავანთან. ქარნე ფრიალებს ამ საბრძოლო ნაწილებისა და შენაერთების დროშები, რომლებმაც სახელი გაითქვეს ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში.

იმათი ნათელი ხსოვნის პატივსაცემად, ვინც იბრძოდა ჩვენი ქვეყნის ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ვინც ვერ შეგესწრო გამარჯვების ნათელ დღეს, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან მივიდნენ სკკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი დ. ტ. იაზოვი, თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, მხედართმთავრები.

გაისმის სამგზავიარო მელოდიები და საფლავს ამკობენ გვირგვინებით სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრებისაგან.

ყველის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. უცნობი ჯარისკაცის საფლავის წინ მწყობრად ჩაიარეს მოსკოველი გარნიზონის ჯარების ქვეგანაყოფებმა, რომლებმაც მხედრული პატივი მიაგეს დაღუპულ გმირებს.

(საკდესი).

მხარდამხარ

დედაქალაქის ომისა და შრომის ვეტერანებმა (საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ჯაშა) გამარჯვების ამ საზეიმო დღეებში პატივი მიაგეს სამშობლოს ღირსეულ შვილთა ხსოვნას. მონახულეს და ყვავილებით შეამკეს მარშალ გელოვანის, გენერალების ჯანჯღავას, კობერიძის, ყურაშვილის, ქირიას, უცნობი ჯარისკაცის საფლავები.

საინტერესო იყო საბჭოთა კავშირის გმირის ვლადიმერ კანკავას სახლ-მუზეუმისა და მემორიალის დათვალიერება. იქვე მოეწყო შეხვედრები 392-ე მსროლელი ქართული დივიზიის ვეტერანებთან. საბრძოლო ეპიზოდებს მოჰყვნენ დივიზიის 805-ე პოლკის ყოფილი მეთაური, ხოლო შემდეგ იმავე დივიზიის შტაბის უფროსი, გადამდგარი პოლკოვნიკი ისმაილ გვირგვლიანი, გმირი კანკავას თანაკურსელი და თანამოიარაღე გადადგარი პოლკოვნიკი ვასილ ჩალაძე, სხვა ვეტერანები. ვ. კანკავას სახლ-მუზეუმისა და მემორიალის დათვალიერებას ექსკურსიამძღოლობას უწევდა გმირის ძმა, დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე მიხეილ გალეია.

ომისა და შრომის ვეტერანთა თბილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს პროფესორმა ნიკოლოზ ჯაშა შეეჯახა დღის ღონისძიებანი და აღნიშნა, რომ ვეტერანები კვლავაც მწყობრში უნდა ვიდგეთ მშრომელთა, კერძოდ, ახალგაზრდობის, ხალხთა მეგობრობისა და სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში. ამას მოითხოვს გარდაქმნის შეუქცევადი პროცესი. კვლავაც მხარდამხარ! — თქვა თავმჯდომარემ. („კომ“. კორ.).

გაიმართა კომისიის სხდომა

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კომისიის სხდომა სამართლებრივი პოლიტიკის რეალიზაციის საკითხებზე. მის მონაწილეებმა აცნობეს, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობისათვის.

რუსუბლიკის კომუნისტებისადმი, მშრომელებისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვისა და იმ თხოვნის შესახებ, რომ აქტიურად ჩაებან გარდაქმნის ახალ ნდელ, გარდამტეხ ეტაპზე ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სრულყოფის საკითხებისადმი მიძღვნილი პლენუმის მომზადებაში, კომისიისა და შექმნილი სამუშაო ჯგუფების წევრებს წერილადდა მიეცათ წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებანი. მიეცემულია აგრეთვე დავალებანი წარმოადგინონ თავიანთი წინადადებანი ეროვნებათშორისი ურთიერთობის სრულყოფის შესახებ, რომლებიც გამოყენებული იქნება ამ კითხეულის მომავალი პლენუმისათვის მზადების დროს.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის - ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ა. ანჩაბაძე.

(საქინფორმი).

ᲙᲘᲕᲚᲔᲕᲔᲜ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ

აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ რესპუბლიკურ საავადმყოფოში მაშინ მივედით, როცა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლები საავადმყოფოს მთავარ ექიმთან ანზორ ჯორბენაძესთან ერთად განაგრძობდნენ თბილისში 9 აპრილსა და მომდევნო დღეებში ქმიური ნივთიერებებით მოწამლულთა გასინჯვას.

გადავწყვიტეთ ხელი არ შეგვეშალა მათთვის. მით უფრო, ვიცოდით, რომ ვიდრე ძირფესვიანად არ შეისწავლიან შექმნილ ვითარებას, უცხოელი სპეციალისტები თავს არიდებენ პრესასა თუ ტელევიზიის წარმომადგენლებთან შეხვედრებს, საუბრებს, რაიმე დაასკვნიან გამოტანას.

ამიტომ ვამჯობინეთ გვენახა საავადმყოფოს მთავარი ექიმი, მოადგილე არტემ ქუტიძე და საჭირო ინფორმაცია სწორედ მისი მეშვეობით მოგვეწოდებინა მკითხველთათვის.

აი, რა გვითხრა მან: წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლები მეორე დღეა, ჩვენთან არიან. მანამდე იყვნენ თბილისის მეოთხე მთავარი სამმართველოს № 2 საავადმყოფოპოლიკლინიკაში, ბავშვთა რესპუბლიკურ-კლინიკურ საავადმყოფოში, პ. სარაჯიშვილის სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული ნეგროლოგიის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში. უცხოელი მედიკოსები ესაუბრებიან, იკვლევენ თითოეულ ავადმყოფს, მათი ნაუბრით დეტალურად, გამოწვლილვით ეცნობიან იმ ავადმყოფთა ღამის ყოველ წვრილმანს. ეს ძალზე შრომატევადი საქმეა, ამჟამად ჩვენთან 182 მოწამლული მკურნალობს...

ბატონ არტემთან საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა. რადგან ოთახში შემოვიდნენ უცხოელი მედიკოსები. ავადმყოფთა შემოვლის შემდეგ მუშაობა აქ განაგრძეს.

რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი ანზორ ჯორბენაძე გვითხრა, რომ გამოკვლევას მეტად დაწვრილებით, დეტალურად ეწევიან. მერე ავადმყოფებს მოწამლულობის სახეობისა და ხარისხის მიხედვით დაყოფენ და მკურნალობას დაუნიშნავენ. ფერადი ფოტოსურათების მეშვეობით ფიქსირებენ ავადმყოფთა ყოველგვარ ანატომიურ ცვლილებებს, სხეულზე გამონაყოლს, ლაქებს და ა. შ. ეცნობიან ჩვენი სპეციალისტების მიერ ჩატარებული ბიოქიმიური გამოკვლევების შედეგებს. ავადმყოფებს უტარებენ ფსიქოთერაპიის კურსს, უნერგავენ რწმენას, რომ მათი განკურნებისათვის საჭიროა პირადი აქტიურობა, დრო და სიმშვიდე. საჭირო მედიკამენტებთან ერთად, სტუმრები სწორედ რწმენას ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას მოწამლულთა საბოლოო გამოჯანსაღებისათვის. მათი თქმით, თუ ყველა ეს კომპონენტი — მკურნალობა, მედიკამენტები, რწმენა და აქტიურობა — იქნება, ცუდ შედეგებს არ უნდა ველოდოთ.

— ბატონო ანზორ, ავადმყოფები, მათი ახლობლები მოითხოვენ მოწამლულთათვის ანტიდოტის (მოწამლის საწინააღმდეგო პრეპარატის) მიცემას. რატომ არ სრულდება მათი მოთხოვნა?

— ამჟამად ამგვარი საშუალებების გამოყენება სრულიად არ არის საჭირო. იგი მოკვლედებს მოწამლვლიდან უშუალოდ რამდენიმე საათის შემდეგ. ასეთივე აზრისანი არიან ჩვენი სტუმრებიც. სხვათა შორის, ისინი დაეთანხმნენ თბილისელ ექიმთა მიერ დღემდე ჩატარებულ მკურნალობის კურსს. თვლიან, რომ ეს იყო ერთად-ერთი სწორი გზა. თუმცა გამოკვლევების შემდეგ გარკვეულ კორექტივებს შეიტანენ, რაც ძირითადად მკურნალობის შემდგომ განვითარებას შეეხება.

მადლობა გადაეუხადეთ სტუმრებს და გამოვბრუნდით. უცხოელი მედიკოსები კვლავ განაგრძობდნენ ავადმყოფთა შემოვლას, გამოკვლევის შედეგების განაზოგადებას, იწერდნენ და ინიშნავდნენ საჭირო ცნობებს, მასალებს, ესაუბრებოდნენ ქართველ კოლეგებს.

სოსო გაღაშვილი.

გვაღვაა, გადავარჩინოთ მოსავალი!

ᲬᲧᲐᲚᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲕᲔᲜᲐᲮᲘ, ᲒᲝᲡᲢᲐᲜᲘ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ რაიონებში გვალვაა. შვიდ თვეზე მეტია მაცოცხლებელი წვიმის წყალი არ დასხურებია მარჩენალ მიწას. უკირს ზვარს, ბოსტანს, ხაკვები კულტურებისა თუ მარცვლეულის ფართობებს. ამ ექსტრემალურ კლიმატურ პირობებში განსაკუთრებით საჭიროა უდიდესი პასუხისმგებლობა, მონდომება და ორგანიზებულობა, ყველა რეზერვი უნდა ავამოქმედოთ ნიადაგის მორწყვისა და ამით წლევანდელი მოსავლის გადარჩენისათვის. დღეს გთავაზობთ ამ მხრივ არსებული მდგომარეობის ამსახველ მასალას. „კომუნისტი“ კვლავაც სისტემატურად გამოაქვეყნებს წერილებს გვალვის საწინააღმდეგოდ მუშაობის მიმდინარეობის თაობაზე.

ᲡᲐᲜᲓᲠᲘᲫᲘᲡᲘ გვალვის გამო, მეტად რთული ვითარებაა შექმნილი გურჯაანის რაიონში. მშრალი შემოდგომა-ზამთარი ასეთივე გაუფუჭულმა შეცვალა. დაღუპვის პრამადეა მისული საშემოდგომო ნათესები, ხორბალი და ქერი 1.700 ჰექტარზე გადახთესა, მაგრამ ნალექების ნაკლებობის გამო არც ამან გამოიღო სათანადო შედეგი.

საზოგადოებრივ მეურნეობებში სოფრთხეშია საკვების დამზადების გეგმები, დაკანონდა ერთფლიანი და მრავალფლიანი ბალახები, რის გამოც მცირე რაოდენობით იგზავნება ფერმებში მწვანე მასა, შესაბამისად იკლო წველადობამ.

არანაკლებ გასაჭირშია რაიონის ვენახებიც. წელს გურჯაანელებმა 84 ათასზე ტონაზე მეტი ყურძენი უნდა აწარმოონ, მაგრამ

განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებები

გეგეჭკორელი გლეხკაცის მთავარი სარჩოსაბადებელი ოდითგანვე მეცხოველეობა და მისი პროდუქტები იყო. ლეჩხუმ-იმერეთ-ოდიშის საზღვარზე, ტეხურსა და ცხენისწყალს შორის მდებარე ასხის მთის მასივის სუბალპური და ალპური მდელოები ზაფხულობით მათ საქონელს ასაზრდოებდა. მეჯოგეები თივასაც ამზადებდნენ და ზამთრისთვის ბარშიც ჩამოჰქონდათ. ზამთრობით კოლხეთის შავიზღვისპირა ხაოვრებსაც იყენებდნენ, საქონელს იაფად ინახავდნენ და იაფფასიანი ხორცისა და რძის პროდუქტებიც უხვად ჰქონდათ.

მაგრამ დროთა ვითარებაში ნოყიერ სავარგულებზე სუბტროპიკული კულტურები გაშენდა, მეცხოველეობამ კი თანდათან უკანა პლანზე გადაინაცვლა და ერთ-ერთი ჩამორჩენილი დარგი გახდა. მისი ზარალი ყოველწლიურად 4 მილიონ მანეთს აღწევდა. ამით განსაკუთრებით ძძიმე ფინანსური მდგომარეობაში ჩავარდნენ დაბლობი ზონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სადაც ჩაისა და სხვა სამხრეთული კულტურებისათვის ცუდი ნიადაგებია. მდგომარეობის გამოსასწორებლად ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგმულიყო. სწორედ ეს საკითხი გახდა პარტიის გეგეჭკორის რაიკომის ორი წლის წინ გამართული გაფართოებული პიუროს სხდომის საგანგებო მსჯელობის საგანი, რომელმაც მიიღო სპეციალური დადგენილება მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და მისი რენტაბელობის გაზრდის შესახებ. დადგენილებაში დეტალურად გაანალიზდა შექმნილი მდგომარეობა და თითოეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიხედვით დაისახა კონკრეტული ღონისძიება ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, დარგის მოწინავე პოზიციებზე გასაყვანად. შეიქმნა მეცხოველეობის განვითარებისადმი ხელმძღვანელობის რაიონული შტაბი, რომელსაც პარტიის რაიკომის პირველი მდივანი რევაზ ნაბაყეშია ჩაუდგა სათავეში.

1.

პირველი ნაბიჯები

შედეგიანია

უპირველესი, რაც შტაბმა გააკეთა, ის იყო, რომ შეისწავლა და დაუზუსტა დარგის განვითარებისათვის საჭირო აუცილებელი მაჩვენებლები, საფუძვლიანად გაანალიზა ადგილობრივი პირობების სპეციფიკა, შემუშავდა ღონისძიებათა კომპლექსი. ამ სტადიაზე უმთავრესად მიიჩნიეს ; ფერმების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განტკიცების საკითხი. უნდა აშენებულიყო ახალი ფერმები, ვინაიდან რაიონის თითქმის 26-ივე ფერმა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა ელემენტარულ მოთხოვნებს. მათ შორის 7 ფერმის პირუტყვი ბრუცელოზით იყო დაავადებული. რაკი რაიონის მძიმე ეკონომიკური პირობები სხვა საშუალებას არ იძლეოდა, გადაწყდა აშენებულიყო ხის ფერმები, რადგან ისინი, კაპიტალურთან შედარებით, სამჯერ იაფი უჯდებოდა საზოგადოებრივ მეურნეობებს. ამასთანავე ხე-ტყით ნაგები ფერმები ვეტერინარულ-სანიტარიული თვალსაზრისითაც მომგებიანია.

თავად ვნახეთ ამგვარი მარტივი ტიპის ბოსლები ლეხაინდრაოში, ბანძ- ონოლიაში. აქ კარგად იზამთრებს საქონელი, რომელიც კარგად ნასვენია და კარგადაც იწველება. : და თუმცა. შარშანდელი ნოემბრიდან წლევანდელი მარტის ბოლომდე გეგეჭკორშიც დიდთოვლობა, ყინვები და ქარბუქი იყო, აქ არც პირუტყვის წონამატება შემცირებულა და არც წველადობა. პირიქით, იმატა კიდეც ხორცისა და რძის წარმოებამ.

ძალების მაქსიმალური მობილიზებით 10-11 თვეში აშენდა 11 საძროხე და სახბორი, 18 ათასი ტონის ტევადობის 21 სასენაჟე ორმო. კაპიტალურად შეკეთდა ყველა დანარჩენი ფერმა. დღეს რაიონის ფერმები მთლიანად აკმაყოფილებს სანიტარიულ-ჰიგიენურ და ზოოტექნიკურ მოთხოვნებს, შრომატევადი სამუშაოები მექანიზებულია. აქვთ მეცხოველეთა დასასვენებელი კეთილმოწყობილი სახლები, რადიო, ტელევიზორი, მეცხოველეებს სისტემატურად მისდით ახალი ჟურნალ-გაზეთები და სხვა.

დარგის აღმავლობისათვის აუცილებელი მეორე და ძირითადი პრობლემა იყო მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. თუ მანამდე საკვებწარმოებისათვის გამოყოფილი იყო 100 ჰექტარამდე მწირი მიწა, რაიკომის ბიუროს ზემოთადნიშნული დადგენილებით ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების წარმოებისათვის 2000 ჰექტარი ნოყიერი ფართობი გამოიყო. გამრავალფეროვნდა ნათესების სტრუქტურაც. ამ მიწაზე მრავალწლოვანი ბალახები სუფთა (იონჯა) და ნარევის სახით დაითესა 480 ჰექტარზე, შვრია — 150 ჰექტარზე, ტრიტიკალე — 250 ჰექტარზე, დანარჩენ მიწებზე — რაფსი, ტურნეფსი, სუდანურა და სხვა.

ცუდი ამინდის მიუხედავად შარშან, წინა წელთან შედარებით, დამზადდა 907 ტონით მეტი თივა, 4.752 ტონით მეტი სილოსი და სხვა სახეობის აგდილობრივი წარმოების იაფფასიანი საკვები. ერთ პირობით სულ საქონელზე 18-ის ნაცვლად 21 ცენტნერი საკვები ერთეული დამზადდა.

მესამე და გადაუდებელი პრობლემა იყო ჯოგის სტრუქტურის შეცვლა, რადგან საქონელი ძალზე მოუვლელი და ჯანდაგი იყო. რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტის დახმარებით შეიძინეს 800 სული ჯიშნიდ დეკეული. პროდუქტიული პირუტყვი მთლიანად ბაგურ კვებაზე გადაიყვანეს. შტაბმა საქონიერდ ჩათვალა ფერმები გამოთავისუფლებულიყო უპერსპექტივო პირუტყვისაგან. ამ მიზნით რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებასთან საიჯარო ურთიერთობის საფუძველზე შეიქმნა მომთაბარე მეცხოველეობის

კოოპერატივი

„ასხი“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქაური გლეხკაცი ოდითგანვე მისდევდა მომთაბარე მესაქონლეობას. მისი ოჯახის მარჩენალი საქონელი იყო, ნამეტი პროდუქტი ბაზარზე გაჰქონდა გასაყიდად. ამას ხელს უწყობდა საზაფხულო და საზამთრო საძოვრები ასხის მთაზე და კოლხეთის დაბლობზე. კოოპერატორებმა ახლადშექმნილ საზოგადოებას ასხის მთის სახელი უწოდეს. მთა, რომელიც მდიდარია სუბალპური და ალპური .მდელოებით, წყლითა და ჯანსაღი ჰაერით. ზაფხულში ეს საკვების დიდი რეზერვია, ზამთრობით კი კოლხეთის ზღვისპირა დაბლობზე მიერეკებიან პირუტყვს.

კოოპერატივ „ასხის“ შექმნა სწორედ იმას ისახავდა მიზნად, რომ მაქსიმალურად აეთვისებინათ და დარგის სამსახურში ჩაეყენებინათ მთისა და ბარის ბუნებრივი საძოვრები. კოოპერატივი სხვა დიდ საქმესაც აკეთებს — საზოგადოებრივ მეურნეობებს ათავისუფლებს უპერსპექტივო პირუტყვის მოვლისაგან, რომლის შენახვა მათ უჭირდათ და დიდ ხარჯებთანაც იყო დაკავშირებული.

კოოპერატივმა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებიდან (ბალახსნიდან მოუხსნელად) თავი მოუყარა 900 სულამდე ადგილობრივი ჯიშის ხბორებს, რომელთაგან თითოეულის წონა 80-100 კილოგრამს არ აღემატება. ზაფხულობით მიერეკებიან ასხის მასივში, ზამთრობით — კოლხეთის საძოვრებზე, 250-300 კილოგრამამდე ასუქებენ მათ და კონდიციურ პირუტყვს სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად კვლავ უბრუნებენ მეურნეობებს, რომლებიც კოოპერატივს კილოგრამ ხორცში 4 მანეთს უხდიან.

ასევე, ნაკახაოს კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა სასუქებელი ფერმა. ყველა მეურნეობა 3-4 თვის ხბორებს, უფრო მეტად მოზვრებსა და სანაშენოდ უვარგისყველა სახის სამუშაოს ამ ციკლის მუშაკები ასრულებენ. მათ განპირობებული აქვთ მეცხოველეობის ფერმა, მიწა, საჭირო ტექნიკა, განსაზღვრულია პროდუქციის წარმოების მოცულობა, ხელფასის ფონდი. მუშას შრომა საბოლოო შედეგების მიხედვით უნახლაურდება. ხოლო გემის გადაკარებებისას ზეგეგმითი ნაწარმის ღირებულების 25-50 პროცენტიც ეძლევა, რომელიც კვარტალის ბოლოს ზუსტდება და კონტროლდება.

მუშაობის ასეთი ფორმა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა უმრავლესობაში დაინერგა, ხოლო სანარდო სისტემა ყველა დანახარჯის, მათ შორის ამორტიზაციის ანარიცხების გათვალისწინებით (რომელიც მოიჯარემ უნდა აანაზღაუროს) დანერგილია სერგეევის ბედიას სახელობის კოლმეურნეობაში, ონოღიისა და დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობებში. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, განგარიშებულია როგორც საერმოო დანახარჯები, ისე ფერმის შემოსავალი და რეალიზაციით მიღებული მოგებაც. აქედან 5-10 პროცენტი მეურნეობას რჩება, დანარჩენს კი მოიჯარენი თანაბრად ინაწილებენ.

ნაგვაზაოს კოლმეურნეობაში ფუნქციონირებს ერთი ოჯახური იჯარა. მოიჯარეებს 15 მეწველი ძროხა გადაეცათ ბოსლითურთ. მათ საკვებწარმოებისათვის გამოეყოთ 12 ჰექტარი სახნავი მიწა და მიემგზავნათ სათანადო ტექნიკა.

კოლმეურნეობის გამგეობასთან გაფორმებული ხელშეკრულებით მოიჯარე ვალდებულია თითოეული ძროხის წველადობა მინიმუმ 3.000 კილოგრამამდე გაზარდოს. აქედან კოლმეურნეობას 1.500 კილოგრამი რძე სახელმწიფო შესყიდვის ფასად უნდა მიჰყიდოს, დანარჩენი კი თავის შეხედულებისამებრ მოიხმაროს. კოლმეურნეობა მოიჯარის მიერ რეალიზებული პროდუქციიდან ამონაგების 10 პროცენტს ღებულობს. როგორც წესი, ყველა მატერიალურ დანახარჯს მოიჯარე ანაზღაურებს. ასე რომ, არც კოლმეურნეობა ზარალობს და არც ოჯახური იჯარის წევრები. პირიქით, მოიჯარე კმაყოფილია ანაზღაურებით.

გიორგი ნოდია,
„კომუნისტის“ სპეც კორ.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

შემოქმედებითი გარჯის კანონზომიერი შედეგი

გეგეჭკორის რაიონისთვის ადრე ფამგებიანი დარგი—მესაქონლეობა რენტაბელური ხდება

აჭარა: იმედის ნათელი

ქალაქ ბათუმის საკატიო მოქალაქეთა მიმართვა სტიქიით დაზარალებული მთიანი აჭარის მშრომელებისადმი

მარად და ყველგან

თბილისში 9 აპრილის ტრაგედიით უსაზღვროდ შეძრწუნებული ყველა ჩვენგანის სული კიდევ ერთხელ შესცრა მშობლიური აჭარის მთებში ახლა ბუნების მრისხანე ძალთა თარეშით გამოწვეულმა, აქამდე გაუგონარმა უბედურებამ.

ჩვენ ამ ჭირში თქვენთან ვართ, ჩვენო დებო და შვილებო, ულრმეს თანაგრძნობას ვუცხადებთ ყველა დაღუპულის მწუხარე ოჯახს. დიდ ბედნიერებას და წარმატებებს ვუსურვებთ ამიერიდან ჩვენსავე მინაზე გადასახლებულ ყველა მთიელი აჭარელის ოჯახს და მათ შთამომავალთ.

ჩვენ თქვენთან ვართ მარად და ყველგან.

ირაკლი აბაშიძე, პოეტი აკადემიკოსი; **ზურაბ ანჯაფარიძე,** სსრ კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი; **არჩილ ძიძიგური,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **მამია გოგოლიშვილი,** პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე; **პეტრე ყლენტი,** პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ააბარისწყლის ხეობაში, განსაკუთრებით ხულოს რაიონში, საითაც გაიხედავთ, მძიმე სურათი გადაგეშლებათ. მორღვეული მთები და უფკრულებში ჩაქცეული ტყეები, წალეკილი გზები და სავარგულები, გაუკაცრიელებული სახლ-კარი. ასეთია სტიქიის ნამსერეგი, აპრილში რომ დაატყდა აჭარის მთიანეთს. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ბუნების მრისხანებას მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი. მარტო წაბლანაში მთის ჩამოქცევის შედეგად დაიღუპა 23 კაცი. რამდენიმე ოჯახში სიცოცხლე მთლიანად ჩაქრა. არ დარჩენილა დაუმეწყრავი სოფელი. 76-ვე დასახლებულ პუნქტში მეტნაკლებად ყველგან მიმდინარეობს ნიადაგის, მთებისა და ფერდობების რღვევის პროცესები.

ერთ-ერთი ულამაზესი სოფელი იყო ჩაო; ნაყოფიერი სავარგულებით, ცადაწვდილი კაკლის ხეებით, ხეხილის ბაღებით, მრავალსართულიანი, მოზაიკით მოპირკეთებული ოდა სახლებით. სოფელში 20 სხვადასხვა ჯიშის ვენახი ხარობდა. მუდამ მიმიხაროდა იქით. ჩაოელები გულითადობითა და სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდნენ. დურმიშხან ცეცხლაძის ოჯახი 10 სულისგან შედგებოდა, ნარიმან ცეცხლაძისა—9 სულისაგან. ასევე მრავალრიცხოვანი იყო თითქმის ყველა ოჯახი...

იმ დღეს სოფელში სამარისებური სიჩუმე დამხვდა. სოფლის ბოლოში მომწყდარმა მეწყერმა უფსკრული წარმოქმნა და მთელი ტყე ჩაიტანა. არ დარჩენილა ეზო და ნაკვეთი, სახიფათოდ რომ არ დაბზარულიყო.

ორღობეში კაცი დავლანდე. თითქოს სოფელში ის ერთადერთი, დარაჯად დარჩენილიყო. ბრიგადირი ზაურ მახარაძე აღმოჩნდა. ნაღვლიანად გადახედა თავის ორსართულიან ქვითკირის სახლს. გადაეკვეთა მის აშენებას, ახლა შიგ ღამის გათევა სახიფათოაო, მითხრა...

ჩაოდან 110 ოჯახი წავიდა. ოციოდეღაა დარჩენილი, იმათაც ფრთები აწყობილი აქვთ წასასვლელად. იყო სიბარული, სიცოცხლე, ერიამული. ახლა ყველაფერი ჩაკვდა. ასეთ დღეშია ოქტომბერი, ხიხაძირი, ღორჯომი, დიოკნისი, ძირკვაძეები და ათობით სხვა სოფელი.

— ბუნებამ არ გვაკმარა ის, რაც მოხდა, ისევ გვებრძვის, — თქვა ხულოს რაიკომის პირველმა მდივანმა ბესარიონ შაინიძემ, — ახალდაბის მთის თხემზე არის შავი ტბა, რომელშიც სპეციალისტთა გაანგარიშებით 350 ათასი კუბური მეტრი წყალია დაგროვილი. ტბას ნაპრალი გაეჩნდა. მთა რომ მოსკდეს, მთელს სოფელს წალეკავს.

ჩემს იქ ყოფნაში დაბრუნდნენ დიოკნისში წასული გეოლოგები. მათ ცნობა მოიტანეს, ღორტის საშუალო სკოლის შენობის ხეთან, ფერდობზე ბზარები გაჩნდა, სკოლას საფრთხე ემუქრებაო. ახალი მეწყერსაშიში მდგომარეობა შეიქმნა სოფელ ღორჯომშიც. პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი, აჭარის პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყველაფერს აკეთებენ, რითა სხვა რაიონებში დროულად ჩაასახლონ საშიშ ზონებში მყოფი მოსახლეობა. გეგმით რესპუბლიკის 17 რაიონში უნდა ჩასახლდეს 2600 ოჯახი, დაახლოებით 12 ათასამდე კაცი. 5 მაისისათვის უკვე წასული იყო 500 ოჯახი (2300 კაცი).

— 365 სახლს აშენებულს ვგულისხმობ. რაიონებში საუკეთესო ნაკვეთები გამოჰყვეს ხალხისათვის. თანადგომისა და საოცარი დახმარებისათვის გთხოვთ „კომუნისტის“ საშუალებით გულითადი მადლობა გადასცეთ წყალტუბოს, გორის, თეთრი წყაროს, სიღნაღის, წულუკიძის, წითელწყაროს, ახალქალაქის, საგარეჯოს, ვანის, ასპინძის და სხვა რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოებს, მშრომელებს. მათ ჩვენი ჭირი და ტკივილი გაითავისეს და დახმარების ხელი უანგაროდ გამოგვიწოდეს. — გვითხრა ბესარიონ შაინიძემ.

ხულოს რაიონი გამრავლების მაჩვენებლებით მთელი რესპუბლიკის ამედია. მოვიყვანთ ასეთ სტატისტიკურ მონაცემებს. 1975 წელს რაიონში ცხოვრობდა 37000 კაცი, მომდევნო წლებში მეწყრების, ზვავებისა და სხვა მიზეზით აქედან დაახლოებით 10 ათასი კაცი. ამის მიუხედავად, 1988 წელს აქ უკვე 41 ათასი კაცი ცხოვრობდა. ხულო ერთ-ერთი ყველაზე მიწამცირე რაიონია რესპუბლიკაში: ერთ მცხოვრებზე საშუალოდ 550 კვადრატული მეტრი მოდიოდა. და აი, მარტო წლეულს მეწყერმა 600 ჰექტარი წალეკა. რაიონში დაახლოებით ორიათას კომლამდე გაყოფას ექვემდებარება. ისე რომ, ხულოს მოსახლეობა ჩვენი ერის დემოგრაფიული ტკივილების მოშუშებას მომავალშიც შეუწყობს ხელს. მთავარია, მათ მხარში ამოვუდგეთ და სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოსაკენ გავუხსნათ გზა. აქაური ხალხი ისეთი მშრომელია, კლდეზე და ზარმისპირებში მოჰყავს მოსავალი, ბარად, მსუყე ადგილებში ხომ სიუხვის გორებს დადგამენ. მთავარია, დაეხმაროთ და დაეამოთ, ფერდობზე ბზარები გაჩნდა, სკოლას საფრთხე ემუქრებაო. ახალი მეწყერსაშიში მდგომარეობა შეიქმნა სოფელ ღორჯომშიც. პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი, აჭარის პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყველაფერს აკეთებენ, რითა სხვა რაიონებში დროულად ჩაასახლონ საშიშ ზონებში მყოფი მოსახლეობა. გეგმით რესპუბლიკის 17 რაიონში უნდა ჩასახლდეს 2600 ოჯახი, დაახლოებით 12 ათასამდე კაცი. 5 მაისისათვის უკვე წასული იყო 500 ოჯახი (2300 კაცი).

— 365 სახლს აშენებულს ვგულისხმობ. რაიონებში საუკეთესო ნაკვეთები გამოჰყვეს ხალხისათვის. თანადგომისა და საოცარი დახმარებისათვის გთხოვთ „კომუნისტის“ საშუალებით გულითადი მადლობა გადასცეთ წყალტუბოს, გორის, თეთრი წყაროს, სიღნაღის, წულუკიძის, წითელწყაროს, ახალქალაქის, საგარეჯოს, ვანის, ასპინძის და სხვა რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, მშრომელებს. მათ ჩვენი ჭირი და ტკივილი გაითავისეს და დახმარების ხელი უანგაროდ გამოგვიწოდეს. — გვითხრა ბესარიონ შაინიძემ.

სიცოცხლე

უნდა იმძლავროს

ბევრ თვითმცელელები. ჩქარობ ყველა, მაგრამ ადვილი როდია მილიონი კუბური მეტრი ნაშალი ქვადღორღისაგან ხეობის გაწმენდა. ჯერ რაც გაკეთდა, ზღვაში წვეთია. არადა ტექნიკის სიმცირე ოგრძნობა. წაბლანის იქეთ, ხიხაძირის სასოფლო საბჭოს სოფლებია. უგზოობის გამო ხიხაძირელები მოწყვეტილნი არიან რაიონსა და სხვა სოფლებს. ალბათ, კაცსაც უჭირს და პირუტყვსაც. თვითონ დატვირთული ავტომანქანები კი კარგა ხანია ჩამწკრივებულა და გზის გახსნას ელოდება.

მთელი რაიონი ფეხზე დგას. ბევრგან მოიშალა მეურნეობა, დაინგრა ათასობით ყაცხოვრებელი სახლი და ასობით საზოგადოებრივი ნაგებობა, წაილეკა მაღალი ძაბვის ანძები, სატელეფონო ქსელი, გზები. საერთო ზარალმა 57.6 მილიონ მანეთს მიაღწია.

უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად, ხალხი მხნეობას არ კარგავს, გრძნობენ, რომ მთელი საქართველო მათთანაა. ვინც მდიის, იმედით მიდის, ვინც რჩება, რწმენით რჩება. საგარეჯოდამო და საზოგადოებრივ ნაკვეთებს უკვე ეტყობა გამრჯე ადამიანის ხელი. ყველგან იგრძნობა ახალდამუშავებული მიწის სუნთქვა-სურნელი, სიცოცხლე უფრო მძლავრად უნდა გაგრძელდეს. ასეც იქნება!

პარტიის რაიკომში ასეთი მაგალითი მითხრეს. დანისპარაულელმა მერაბ პაპიძემ და ციური ხაგინაძემ ოჯახის შექმნა გადაწყვიტეს. ისინი ახალქალაქის რაიონის სოფელ ჩუნჩხაში დასახლდებიან. ქორწილი 20 მაისს არის დანიშნული. იმ დღეს ახალი სახლის საძირკველს ჩაჭერიან, საქორწინო სუფრა იქვე მდელოზე გაიშლება. ეს ახალი ოჯახის კეთილი საქმეა იქნება, რომელშიც მთელი სოფელი მიიღებს მონაწილეობას.

კიდევ ერთი დეტალი. დანიშნა საავტომობილო მარშრუტი. რომელიც ულრმეს რაიონს ახალქალაქის იმ სოფლებთან დაუკავშირებს, რომლებშიც ხულელები ჩასახლდნენ. ისე რომ, ნათესავებს ერთმანეთთან მიმოსვლა არ გაუჭირდებათ.

ბედნიერება და გამრავლება იმ ახალ ფუძეებს, იმ ახალ კერებს, რომლებსაც ჩასახლებულნი შექმნიან.

მიხეილ გორგილაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.



სტიქია და ადამიანები

„ძმაო, ძმისა ხარ ძლიერი!“

ავტომანქანების კოლონა ასეთი ტრანსპარანტით გაემგზავრა ბათუმიდან ხულოსა და შუახევის რაიონების სოფლებში. მან მთიან აჭარაში სტიქიური უბედურებით დაზარალებულ ადამიანებს წაუღო სურსათი, ტანსაცმელი, საშენი მასალები.

ყოველივე ეს ბათუმის სამრეწველო საწარმოთა, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კოლექტივების ძღვენია ძმებისადმი, რომლებსაც უანგარო დახმარებისა და თანაგრძნობის ხელი გაუწოდეს.

სურათზე: ავტომანქანების კოლონა, რომლებსაც სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად ბათუმიდან მთიანი აჭარის რაიონებში ტვირთი მიაქვთ.

(საქინფორმის ფოტო).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის პრემიების მოსაპოვებელად ნამუშევრების მიღების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიები დაწესებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 15 მარტის დადგენილებით.

პრემიების მოსაპოვებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს მეცნიერული ნაკვლევები და ნამუშევრები, რომლებიც დასრულდა ისეთი ახალ სახეობათა ტექნიკის, პროგრესული მასალების, ტექნოლოგიური პროცესების შექმნითა და დანერგვით, სათბობ-ენერგეტიკული, შრომითი და ნედლეული რესურსების რაციონალურ ხარჯვასა და გარემოს დაცვას რომ უზრუნველყოფენ.

უპირატესობა ენიჭება ნამუშევრებს, რომლებიც შესრულებულია სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის ფარგლებში, აგრეთვე დარგთშორისი მეცნიერულ-ტექნიკური კომპლექსების გეგმების მიხედვით.

პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნამუშევრები განიხილებული უნდა იყოს მეცნიერულ-ტექნიკური საზოგადოებრიობის მხარდაჭერით, მათ უნდა პოვონ ფართო გამოყენება წარმოებაში და ჰქონდეთ დადასტურებული თვალსაჩინო ეკონომიკური ეფექტი.

პრემიების მოსაპოვებლად ნამუშევრების წარმოდგენა შეუძლიათ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას შესაბამისი პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებთან და საბჭოთან ერთად.

ნამუშევრებთან დაკავშირებული მთელი მასალები, მშენებლობის, აგროსამრეწველო წარმოების დარგის ნამუშევრების, აგრეთვე პროდუქციის მაღალი ხარისხის მიღწევისათვის განკუთვნილის გარდა, მიიღება სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროპაგანდის ქვეგანყოფილებაში შემდეგი მისამართით: 103905, მოსკოვი, გორკის ქუჩა, 11; ტელეფონები: 229-03-05, 229-42-12. მასალების მიღება მთავრდება ა. წ. 1 სექტემბერს.

მშენებლობასთან დაკავშირებული ნამუშევრების მიღების წესისა და ვადების შესახებ შეგიძლიათ შეიტყოთ სსრ კავშირის სახმშენში (ტელ. 292-68-07 და 292-62-49), პროდუქციის მაღალი ხარისხის მიღწევისათვის — სსრ კავშირის სახსტანდარტში (ტელ. 238-08-27), აგროსამრეწველო წარმოების დარგში — ტელეფონით 290-47-65.

ძმეღითობა

საჭიროა მეტი ტემპი, ნაკლოვანებათა დაძლევა

„კომუნისტი“, 1989 წლის 17 მარტი

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებენ პარტიის მაბარაძის რაიკომის პირველი მდივანი თ. კუნდუღია:

„კომუნისტის“ პუბლიკაციაში მახარაძის რაიონის ზოგიერთი საზოგადოებრივი მეურნეობისა და ჩაის ფაბრიკის ხელმძღვანელები სამართლიანად იყვნენ გაკიკიტიკებული სეზონისათვის მზადების საქმეში არსებული ნაკლოვანებების გამო.

აღნიშნულის შესახებ იმსჯელა პარტიის მახარაძის რაიკომის ბიუროს, რომელმაც სათანადო ღონისძიებანი განახორციელა ფამფალეთის, წითელმთის, მშვიდობაურის, ცხემლისხიდის, მაკვანეთის, ბაილეთის, ბალდადის, ნღობილევის კოლეურნეობათა, ნასაკირალის, ლაითურის, ბახვის, ბაილეთის, ნაგომრის, თხინვალის № 1 ჩაის ფაბრიკების ხელმძღვანელების მიმართ.

ჩაის კრეფის სეზონისათვის მზადების საკითხებს მიეძღვნა აგროსამრეწველო კომიტეტის მიერ ანასეულში გამართული საზოგადოებრივ მეურნეობათა და ჩაის გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა თათბირ-სემინარიც. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად რაიონი მზად შეხვდა ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფისა და მიღება-გადამუშავების სეზონს, რომლის დროსაც სამუშაოთა მიმდინარეობას პარტიის რაიონული კომიტეტი გაკონტროლებს.

პარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი ბ. მახარაძე:

კუბლიკაციაში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები სწორია. ისინი განხილულია პარტიის რაიკომში საკორდინაციო სამეჭოს სხდომაზე. განხილულია ჩაის ფაბრიკების დირექციასთან ერთად მონაწილეობდნენ სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკები. დაისახა ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებისა და მათი გამომწვევი მიზეზების ოპერატიულად მოგვარებისათვის. ბევრი რამ გაკეთდა პირველი ჩაის ფაბრიკის დროული ამოქმედებისათვის. მეორე ფაბრიკაში მთლიანად შეკეთებულია საღრმანი აგრეგატები, ხოლო № 4 ჩაის ფაბრიკაში სეროზული სამუშაოები ჩატარდა ტერიტორიის კეთილმოწყობისა და სახურავების შეკეთებისთვის. ეს საკითხები პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის /სისტემატური ყურადღების ცენტრშია.

სოფლის მშრომელებო, გაზაფხული მოახლოვდა!

„კომუნისტი“, 1989 წლის 9 თებერვალი

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებენ: პარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველი მდივანი ჯ. ჩლაიძე:

კრიტიკა სამართლიანია. ზამთრის უჩვეულოდ რთული პირობებისა და დიდოვლობის შედეგად გასული წლის დამლევისათვის მართლაც გაჭიანურდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტრანსპორტის შეკეთების სამუშაოები, დაბალი იყო მათი მზადყოფნის კოეფიციენტი.

მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირსა და აგროსამრეწველო გაერთიანების გამგეობის სხდომაზე განხილულ იქნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რეზერვების დაჩქარების და საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადყოფნის საკითხები, განხორციელდა საჭირო ღონისძიებანი. მდგომარეობაც საგრძნობლად გამოსწორდა.

ამჟამად რაიონში არსებული გამართული ტექნიკა სრულიად საკმარისია საზოგადოებრივ მეურნეობებსა და მოსახლეობის ნაკვეთებში საგაზაფხულო სამუშაოების ჩასატარებლად. რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ყოველ ღონეს იხმარენ საამისოდ.

პარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი თ. პეტრიაშვილი:

„კომუნისტის“ კრიტიკა სამართლიანია. ბორჯომის რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეოთაშორისო ორგანიზაციებში 1989 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღრიცხვაზე იყო სხვადასხვა მარკის 137 ავტომანქანა, რომელთაგან გამართული იყო 120, ანუ 86 პროცენტი. გაზეთის კრიტიკული გამოსვლის შემდეგ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა. ამ საკითხს სისტემატურად ვაკონტროლებთ.

პარტიის ონის რაიკომის პირველი მდივანი დ. მეტრეველი:

ჩვენი მისამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები სწორია. საკითხი განხილა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭომ საბჭოთა მეურნეობებისა და შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად. მიღებული ზომების შედეგად მიმდინარე წლის საგაზაფხულო სამუშაოების შესრულებისას ტექნიკის გაუმართაობით გამოწვეული მოცდენები არ იქნება.

პარტიის ყაზბეგის რაიკომის პირველი მდივანი ჯ. გომიაშვილი:

საგაზაფხულო სამუშაოებისათვის ტექნიკის მომზადებასთან დაკავშირებით გამოთქმული კრიტიკა სწორია. ეს საკითხი რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებამ კონკრეტულად შეისწავლა ყველა კოლმეურნეობაში და იმსჯელა საბჭოს სხდომაზე. დაისახა მდგომარეობის გამოსწორების ღონისძიებანი. გამოვლინდა, რომ ცალკეული კოლმეურნეობები უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ ამორტიზებული ტრანსპორტის დროულად ჩამოწერას. ასეთი ფაქტი აღმოჩნდა, მაგალითად, სიონის კოლმეურნეობაში, რისთვისაც ამ საზოგადოებრივი მეურნეობის ეკონომისტი თანამდებობიდან გათავისუფლდა. მიეთითა ოთხი კოლმეურნეობის ეკონომისტს, ხოლო კოლმეურნეობებისადმი სუსტი კონტროლისთვის რაიონის ტექზედამდგომელი ვ. სუჯაშვილი გაფრთხილებულია.

ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ტექნიკის გაუმართაობამ საგაზაფხულო სამუშაოთა დროულ და ხარისხიან შესრულებაში ხელი არ შეგვიშალოს.

შეფერხებები სტარტის წინ

„კომუნისტი“, 1989 წლის 18 მარტი

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს პარტიის გალის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ყოლბაია:

გაზეთის კრიტიკული გამოსვლა განხილა აგროსამრეწველო კომბინატის „გალის“ საბჭოს სხდომამ. წერილში აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობა არადამაკმაყოფილებლად იქნა შეფასებული. ცალკეული საწარმოო ბრი

რწმენა სიმართლეს მოჰყვება

აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ერეკლე გამყრელიძე

აკადემიკოსი ერეკლე გამყრელიძე გეოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგში — ტექტონიკაში მოღვაწეობს. ტექტონიკა დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა მიღწევების სინთეზურ გამოყენებას გულისხმობს და იკვლევს დედამიწის გარსების აგებულებას, მოძრაობას და განვითარებას საერთოდ დედამიწის განვითარებასთან კავშირში. ე. გამყრელიძეს ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც იცნობენ, როგორც ტექტონიკის გლობალური პრობლემების და ამავე დროს ხმელთაშუა ზღვის მთიანი სარტყლის სტრუქტურისა და გეოდინამიკური ევოლუციის ერთ-ერთ თვალსაჩინო მკვლევარს. ამ საკითხებისადმი მიძღვნილი მისი არაერთი შრომა უცხოეთის მრავალ ქვეყანაშია გამოქვეყნებული. ე. გამყრელიძის მეცნიერული ძიება უწინარეს ყოვლისა ეყრდნობა კავკასიაში, ალპებში, კარპატებსა და ბალკანებში საველე დაკვირვებების შედეგად მოპოვებულ მდიდარ ფაქტობრივ მასალას. იგი საქართველოს და კავკასიის სხვადასხვა ნაწილების გეოლოგიური და ტექტონიკური რუკების ავტორი და ევროპის საერთაშორისო ტექტონიკური რუკის თანაავტორია. მრავალი წელია ხელმძღვანელობს სოციალისტური ქვეყნების აკადემიების მრავალმხრივი თანამშრომლობით მიმდინარე კვლევას ტექტონიკაში.

ერეკლე გამყრელიძის მეცნიერული მოღვაწეობა არასდროს მოწყვეტია პრაქტიკას. მის მიერ განხორციელებულ ეგრეთ წოდებული პლანეტარული ნაპრალოვნების კვლევას პრაქტიკული ღირებულებაც აღმოაჩნდა და, სხვა მონაცემებთან ერთად, საფუძველად დაედო საქართველოს მინერალური წყლების ზოგი საბადოს აგებულების და წარმოშობის საკითხის დაზუსტებას. ე. გამყრელიძემ, აზერბაიჯანელ და ქართველ მენავთობე-გეოლოგებთან ერთად, დაამუშავა დასავლეთ აზერბაიჯანსა და აღმოსავლეთ საქართველოში ნავთობისა და გაზის ძებნის მეცნიერული საფუძვლები, მანვე ახლებურად გააშუქა კვაინის ტყვია-თუთიის საბადოს მადანშემცველი სტრუქტურის განვითარება და ასე შემდეგ.

ერეკლე გამყრელიძის, როგორც მეცნიერის გზა ქართველი გეოლოგების მოძღვართან, აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელიძესთან უშუალო ურთიერთობით დაიწყო. მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრაზე, შემდეგ კი სწავლობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში.

— ქართველი საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი ა. ჯანელიძის როლი ეროვნული მეცნიერების განვითარებაში. ეს იყო დიდი მოღვაწე, რომელმაც ყოველი ღონე იხმარა (უმეტესად — საკუთარი ინტერესების საზიანოდ) თვითმყოფადი და ორიგინალურად მოაზროვნე ქართული გეოლოგიური სკოლის შექმნისათვის. დღეს ამ სკოლის მეცნიერული მიღწევები საყოველთაოდ არის აღიარებული. მე ვამაყობ, რომ ამ სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი ვარ.

— თქვენ დიდი ხნის განმავლობაში იკვლევდით დედამიწის ქერქის პლანეტარულ ნაპრალოვნებას (სწორედ ამ კვლევის შედეგები დაედო საფუძვლად თქვენს არჩევას 1976 წელს საერთაშორისო პლანეტოლოგიური ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად). რა არის ამ პრობლემის არსი?

— შეტად თავისებური მორფოლოგიის მქონე და სივრცეში კანონზომიერად განლაგებული ნაპრალთა სისტემების არსებობა დიდი ხანია შემჩნეულია დედამიწის ქერქის უდრეკი (მყარი) უბნების — ბაქნების დანალექ საფარში. სპეციალური მეთოდების გამოყენებამ საშუალება მომცა დამედგინა, რომ ასეთი ნაპრალები ფართოდ არის გავრცელებული კავკასიასა და, როგორც შემდგომ გამოირკვა, ყველა ცნობილ მთათა სისტემაში. ამრიგად საბოლოოდ დადასტურდა ასეთი ნაპრალოვნების გლობალური, პლანეტარული გავრცელება და კანონზომიერი განლაგება. ამასთან ერთად მოხერხდა ქანების დეფორმაციის პროცესში პლანეტარული ნაპრალოვნების როლის გარკვევა, რამაც კარდინალურად შეცვალა დედამიწის ქერქის დეფორმაციის მექანიზმის კვლევის მეთოდები. ამავე დროს შეიცვალა ძველი ნარმოდგენები სასარგებლო წიაღისეულის ზოგიერთი საბადოს სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების, ნავთობისა და გაზის მიგრაციის გზებისა და მათი შემცველი ქანების შიგა სტრუქტურის შესახებ.

— უკანასკნელ ხანს თქვენი მეცნიერული ინტერესები მიმართულია დედამიწის ქერქის ცალკეული ნაწილების დიდი ჰორიზონტალური გადაადგილების შედეგად მიღებული სტრუქტურების — ეგრეთ წოდებული შარიაჟებისადმი. რა მნიშვნელობა აქვს მათს კვლევას?

— შარიაჟების კვლევას უაღრესად დიდი თეორიული და ამასთან პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამჟამად კავკასიაში და ხმელთაშუა ზღვის მთიანი სარტყლის სხვა უბნებზე სხვადასხვა ტიპის შარიაჟების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე მოხერხდა გამერკვია მათი წარმოშობის მექანიზმი. ნათელი გახდა, რომ შარიაჟები შეიძლება სრულიად სხვადასხვა სიღრმეზე განვითარდეს, რაც დედამიწის ქერქის ეგრეთ წოდებულ ჰორიზონტალურ ტექტონიკურ განშრევებას განაპირობებს. ამ მოსაზრებას უახლესი გეოფიზიკური მონაცემებიც ადასტურებს. ეს თეორიული ასპექტია.

პრაქტიკული თვალსაზრისით შარიაჟების კვლევა განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა ნავთობის გეოლოგიისათვის. ბოლო ხანს გაირკვა, რომ ამ ტიპის სტრუქტურებში და მათთან უშუალოდ მოსაზღვრე უბნებზე თავმოყრილია ნავთობისა და გაზის მსოფლიო მარაგის თითქმის 80 პროცენტი, რაც მათი საბადოების აღმოჩენის სრულიად ახალ პერსპექტივებს სახავს.

* * *

აკადემიკოსი ერეკლე გამყრელიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებას ხელმძღვანელობს. აქ შეისწავლება დედამიწისა და მისი ქერქის აგებულება, წარმოშობა, განვითარება, სასარგებლო წიაღისეული და მისი რაციონალური გამოყენება. რა მდგომარეობაა დღეს ამ სფეროში? როგორია მისი განვითარების პერსპექტივები?

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში შეიქმნა შეხედულებათა ახალი სისტემა, რომელიც თანდათან გადაიზარდა ლითოსფეროს (დედამიწის მყარი გარსის) ფილების ტექტონიკის თანამედროვე თეორიაში. ახალი თეორია საშუალებას იძლევა დედამიწის ევოლუცია განხილულ იქნეს მატერიის მოძრაობის მრავალსახეობაში ენერგეტიკული პროცესების, მექანიკური გადაადგილებების და ნივთიერების ქიმიური გარდაქმნების ჩათვლით. ამ თეორიის მნიშვნელობა გადაუჭარბებლად შეიძლება შევადაროთ ფიზიკისათვის — კვანტური მექანიკის თეორიის, ბიოლოგიისათვის — მოლეკულური გენეტიკის და ტექნიკისათვის — კიბერნეტიკის მნიშვნელობას.

ე. გამყრელიძემ ერთ-ერთმა პირველმა ჩვენს ქვეყანაში განიხილა კავკასიისა და მისი მოსაზღვრე რეგიონების გეოლოგიური ევოლუცია ამ ახალი იდეების საფუძველზე. ამ საკითხისადმი მიძღვნილ მის ერთ-ერთ შრომას ა. ჯანელიძის სახელობის პრემია მიენიჭა.

— უნდა გითხრათ, რომ ქართველმა მეცნიერებმა ასეთი ევოლუციის არა ერთი, არამედ რამდენიმე შესაძლო მოდელი შექმნეს, რაც საკითხის სირთულით და არსებული ფაქტების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით არის განპირობებული. საფიქრებელია, რომ მომავალში, ახალი ფაქტობრივი მასალის მოპოვების შედეგად, ეს მოდელები ერომანეთსაც დაუახლოვდებიან და, ბუნებრივია — ჭეშმარიტებასაც.

საყურადღებოა, რომ უკანასკნელ ხანს ფილების ტექტონიკის თეორიამ უშუალო დადასტურება პოვა ოკეანეებში და კონტინენტების კიდეებზე განხორციელებული ღრმა ბურღვისა და აგრეთვე კოსმოსური გეოდეზიის მონაცემების, კერძოდ ლაზერული გაზომვების შედეგად. დაწვრილებითი მეცნიერული ახსნა-განმარტებებით თავი რომ არ შეგაწყინოთ, მოკლედ გეტყვით, რომ დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ყველა დარგში იბადება ახალი პრობლემები და აუცილებელი ხდება დედამიწის გარსების და მათი შემადგენელი სრულიად სხვადასხვა მასშტაბისა და ხასიათის სტრუქტურული ერთეულების ახლებური კვლევა.

ნათელია, რომ ახალ აღმოჩენებს ფუნდამენტურ მეცნიერებაში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის შედეგები უნდა მოჰყვეს. ახალი თეორიის საფუძველზე უკვე გაკეთებულია დედამიწის ქერქში ნავთობისა და გაზის, კოლჩედანური მადნების და სხვა სასარგებლო წიაღისეულის განლაგების შედეგიანი პროგნოზები.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, გარდა წმინდა თეორიული და მეთოდიკური კვლევისა, ნაყოფიერად სწავლობენ საქართველოს და მის მოსაზღვრე ტერიტორიებზე დედამიწის გარე გარსების აგებულებას და განვითარების კანონზომიერებებს, ქმნიან ბუნების დაცვის და აგრეთვე ბუნებრივი რესურსების გამოვლენისა და რაციონალური გამოყენების მეცნიერულ საფუძვლებს. შეისწავლება ამ რეგიონის გეოფიზიკური ველები და სეისმურობა, დედამიწის ქერქის ნივთიერი შემადგენლობა და ნამარხი ორგანიზმების ევოლუციის გზები. მიმდინარეობს აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური და კომპლექსური გეოგრაფიული კვლევა.

უკანასკნელ ხანს განყოფილებაში შემავალი ინსტიტუტები ჩაერთვნენ საკავშირო აკადემიის მიერ შემუშავებული ძალზე აქტუალური ფუნდამენტური მეცნიერული პროგრამების კვლევაში. ამასთან ერთად შექმნილია მომავალი ფუნდამენტური კვლევის რესპუბლიკური პროგრამები, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამა „მინისძვრები და მათი წინასწარმეტყველება“. საქმე ეხება საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების ახალი, პრინციპულად განსხვავებული რუკის შედგენას და, მინისძვრების წინამორბედებისა და სეისმოგენური სტრუქტურების შესწავლის საფუძველზე მინისძვრათა ადგილის, ძალისა და „მომწიფების“ პროგნოზს. განყოფილება აქტიურად არის ჩართული ეკოლოგიური პრობლემების დამუშავებაში, კერძოდ, კლიმატის შესაძლებელი ცვლილების, ოზონის ფენის დარღვევის, წყლის აუზების და ატმოსფეროს გაჭუჭყიანების, ბიოსფეროს რადიოაქტიური გაჭუჭყიანების, სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული მავნე მოვლენების პრობლემათა კვლევაში. შეისწავლება სტაქიურ გეომორფოლოგიურ პროცესებთან — მეწყერებთან, ზვავებთან, ღვარცოფებთან ბრძოლის პრობლემაც.

ასეთი დიდი ამოცანები, რასაკვირველია, მძლავრ მეცნიერულ პოტენციალს მოითხოვს. საინტერესოა აკადემიკოსის აზრი.

— ამ მხრივ კარგის თქმაც შემიძლია და ცუდისაც. ჩვენს კვლევითს ინსტიტუტებში მოღვაწეობს ბევრი ღირსეული მეცნიერი, რომლებიც ძირითადად ქმნიან ჩვენს მეცნიერულ პროდუქციას. მაგრამ არ შემიძლია ზოგიერთ სატკივარზეც არა ვთქვა... გასულ წლებში ბევრი მეცნიერის და მეცნიერი მუშაკის (ეს ორი, სრულიად განსხვავებული ცნებაა) მეცნიერებისადმი დამოკიდებულება მკვეთრად გაუარესდა. მათი უმეტესობა დასაქმებული იყო ეგრეთ წოდებული „სადისერტაციო მეცნიერებით“ — ძირითადად სამეცნიერო ხარისხების, წოდებებისა და სხვა პრივილეგიების მოპოვებით. დაიჩრდილა მეცნიერის მთავარი დანიშნულება — მეცნიერული ჭეშმარიტების უანგარო ძიება. ეს ძალზე მტკივნეულია. კიდევ პრობლემა: სათანადო პროფესიული განათლების მქონე ახალგაზრდა კადრების ნაკლებობა. ამას ბევრი მიზეზი აქვს.

— სენი სათავეს ალბათ უმაღლეს სასწავლებლებში იღებს. თქვენ, რომელიც აგერ უკვე 20 წელია პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ასწავლით, ეს უკეთ მოგეხსენებათ. რა გახარებთ და რა გტკენთ გულს თანამედროვე სტუდენტებში?

— მახარებს მათი ეროვნული და მოქალაქეობრივი პოზიცია. გულს მტკენს ახალგაზრდობის დიდი ნაწილის გულგრილი დამოკიდებულება სწავლისადმი, რასაც, სხვათა შორის, ბევრი ობიექტური მიზეზი აქვს. ერთ-ერთია, მაგალითად, სასწავლო პროგრამების უვარგისობა. უკვე რამდენიმე ათეული წელია ჩვენი სტუდენტები ბევრ საგანს სწავლობენ მხოლოდ იმისათვის, რომ შემდეგ სამუდამოდ დავიწყონ. ამ ბიუროკრატიულ მექანიზმს ვერა და ვერ ეშვიალი. სავსებით სწორია ისიც (ესეც არაერთხელ თქმულა), რომ საბოლოოდ უნდა დადგინდეს უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების საჭირო რაოდენობა და, რაც მთავარია, ახალგაზრდობა უნდა დარწმუნდეს, რომ მისი ცოდნა და პროფესიონალიზმი პირველ რიგში მის სამშობლოს — საქართველოს მოხმარდება.

* * *

ერეკლე გამყრელიძე აკადემიკოსად ახლახან აირჩიეს (სხვათა შორის იგი, ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა აკადემიკოსია — 55 წლის). ჩვენი საზოგადოების ძირეული გარდაქმნის პირობებში მას, როგორც მოღვაწეს, პიროვნებას, ინტელიგენტს, როგორც თაობის წარმომადგენელს, ბუნებრივია, თავისი პოზიცია, თავისი პლატფორმა აქვს.

— გულწრფელი მინდა ვიყო: ჩემი თაობა ტრაგიკული ბედისაა. რა მაქვს მხედველობაში? ტოტალიტარულ სახელმწიფოში მცხოვრებ ადამიანს არ შეუძლია განახორციელოს თავისი ცხოვრებისეული დანიშნულება, თუ ამ დიდი მანქანის ერთ ნაწილად არ იქცა. იგი ძალაუნებურად ხდება თანამონაწილე იმისა, რასაც ეს მანქანა სჩადის. იქმნება სიტუაცია, როდესაც ადამიანი მუდმივად გრძნობს თავის არასრულფასოვნებას, უმწეობას. სულ უბრალოდ, მატერიალური ხელმოკლეობაც განა ჩვენი თაობის ღირსების კიდევ ერთი დამმცირებელი ფაქტორი არ იყო? უძრაობის წლებში ყველა ამ პრობლემაზე მსჯელობა ოჯახითა და მეგობრების ვიწრო წრით შემოიფარგლებოდა. ეს ხომ ფაქტობრივად სრული მორჩილება იყო. სანუგეშოდ შეიძლება მხოლოდ ის გვქონდეს, რომ ბევრ ჩვენგანს ამ დროს სინდისისათვის არ ულალატია და ჩვენს ოჯახებში შვილები არცთუ ურიგო მოქალაქეებად და პატრიოტებად იზრდებოდნენ.

რა მოგვიტანა გარდაქმნამ? უწინარესად ის, რომ დაიწყო ჩვენი საზოგადოების ჰუმანიზაცია. ვლაპარაკობთ საზოგადოების ჰუმანიზაციაზე სად? — რუსთაველის სამშობლოში 800 წლის შემდეგ. მაგრამ ფაქტს სად ნაუხვალ? საზოგადოება სერიოზული სენით არის დაავადებული და მკურნალობა სჭირდება, უფრო სწორად — თვითმკურნალობა. ჩვენ განწმენდის გრძელი გზის მხოლოდ დასაწყისში ვართ, მაგრამ ალტერნატივა არ არსებობს. ცხადია, რომ ჩვენი საზოგადოების მიერ დაკარგული ადამიანური ღირსების გრძნობის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, გულმოწყალების, შრომის, ყოფაცხოვრების და ურთიერთობის კულტურის აღსადგენად საკმარისი არ არის კეთილსინდისიერად ვიხადოთ ჩვენი პროფესიული ვალი. ეს, უწინარესად, ეხება ჩვენს ინტელიგენციას, რადგან პროგრესის მექანიზმში განსაკუთრებულ როლს სწორედ ინტელექტუალური, სულიერი ფაქტორები ასრულებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ინტელიგენციის როლი ეროვნული პრობლემების გადაჭრაში. მშობლიური ენის შენარჩუნება, სამშობლოს ბუნებისა და ისტორიულ სიმდიდრეთა დაცვა, მის სრულუფლებიანობაზე და დამოუკიდებლობაზე ზრუნვა, — არა თავის გამოსაჩენად (სამწუხაროდ, ზოგჯერ ასეც ხდება), არამედ გულწრფელად და უანგაროდ, — ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა. როგორც ერის შვილები, ჩვენ სწორედ ამაში უნდა ვხედავდეთ ჩვენს დანიშნულებას. გარდაქმნის გზაზე ნარმატების სანინდარი კი ჩვენი საზოგადოების დემოკრატიზაცია და სრული საჯაროობაა. მნამს, რწმენა სიმართლეს მოსდევს. თუ სიმართლე ბოლომდე იქნება ნათქვამი (და არა მარტო ნარსულზე), მაშინ რწმენაც სრული იქნება. ამასთან, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი საზოგადოების ნამდვილი გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ ერების სრული ეროვნული თვითგამორკვევის შემთხვევაში, რადგან მხოლოდ ასე გამოვლინდება ცალკეული ერების უზარმაზარი, დღემდე დფარული პოტენციური შესაძლებლობანი.

საზოგადოების გაჯანსაღების პროცესი და საერთო კულტურის ამაღლება ეროვნებათაშორის დამოკიდებულებაზეც იქონიებს დადებით გავლენას. ამ რთულ პრობლემას კიდევ ერთი მხარე აქვს — ეს არის ისტორიული სამართლიანობა, რაც მეცნიერთა მიერ საჯარო განხილვის ნუსით უნდა დადგინდეს.

კიდევ ერთი რამ მჯერა: პროგრესის მთავარი მამოძრავებელი ძალა ახალგაზრდობაა, რომელიც აღსავსეა შინაგანი ენერგიით და თავისუფალია უფროსი თაობისათვის დამახასიათებელი არაერთი ცრურწმენისაგან.

P. S. ეს წერილი 9 აპრილის ტრაგედიამდე მომზადდა. ბატონმა ერეკლემ შემდეგი მინაწერის გაკეთება მთხოვა: — 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედია სათანადოდ შეაფასა ჩვენმა საზოგადოებამ, თუმცა მრავალი კითხვა უპასუხოდ დარჩა და შეიძლება მომავალშიც დარჩეს. დაიღვარა ჩვენი შვილების, დებისა და დედების სისხლი. დიდხანს არ შეაშრება ჩვენს ოჯახებს ცრემლი. მაგრამ ქართველი კაცის დათრგუნვა არც ისე იოლი საქმეა. პირიქით, დიდიხანია არ ყოფილა საქართველო სულიერად ასე ძლიერი და ერთიანი. ამ მძიმე დღეებში ისევ მომავალზე ფიქრია საჭირო. სამართლიანობისთვის ბრძოლა უნდა გაგრძელდეს — ბრძოლა პარლამენტურ-კონსტიტუციური, რაც შექმნის სწორედ იმ რეალური დიალოგის საშუალებას, რომელზეც დღეს ბევრს ვლაპარაკობთ. ამ გზაზე მრავალი წინააღმდეგობა შეგვხვდება. ერთ-ერთი ყველაზე რთული კი ჩვენი საზოგადოების კორუმპირებულ ნაწილთან მაღალ იდეალებზე საუბარი იქნება.

საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მიღწევაში, ჰუმანური საზოგადოების ჩამოყალიბებაში უაღრესად დიდი როლი შეუძლია შეასრულოს საქართველოს სახალხო ფრონტმა, რომელიც აქამდე ძალზე ძნელად იკვლევდა გზას. იგი მართლაც სახალხო მოძრაობად უნდა იქცეს. მან უნდა მოახდინოს ჩვენი „კონსოლიდაცია, აამაღლოს მოქალაქეობრივი თვითშეგნება და ხელი შეუწყოს ქართველი ხალხის სანუკვარი მიზნების განხორციელებას.



ლუდმილა იაკობაშვილი.

● აშშ-პანამა

პრეზიდენტის ულტიმატუმი

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, რომელიც არ დაელოდა პანამაში საყოველთაო არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოცხადებას პირდაპირი ულტიმატუმი წაუყენა პანამის ეროვნული თავდაცვის ძალების მთავარსარდალს გენერალ ნორიეგას.

სამშაბათს ამერიკელ რეპორტიორთა ჯგუფისათვის მიცემულ ინტერვიუში ბუშმა განაცხადა, რომ ნორიეგამ უარი უნდა თქვას თავის პოსტზე. „თუ იგი უარს იტყვის ძალაუფლებაზე, მაშინ ამერიკა-პანამის ურთიერთობა არსებითად და მაშინათვე გაუმჯობესდება“, — ამტკიცებდა პრეზიდენტი. მან უარი თქვა განემარტა, თუ რა აქციების განხორციელებისათვის არის მზად შეერთებული შტატები იმ შემთხვევაში, ეს თუ არ მოხდა. პრეზიდენტმა ასევე უარი თქვა პირდაპირ გაეცა პასუხი თხოვნაზე განემარტა შეერთებული შტატების მიერ პანამის არხის შესახებ ხელშეკრულებათა შესაძლო გაუქმება, და ამის „ჰიპოთეზური საკითხი“ უწოდა.

● უნგრეთი

ოპოზიციასთან პარტნიორობით

ბუდაპეშტი. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა წინადადება წამოაყენა შეიქმნას უნგრეთში პოლიტიკური ფორუმი ინტერესების შეთანხმების მიზნით. წინადადების ტექსტი, რომელიც აქ გავრცელდა, მოუწოდებს ქვეყნის ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციას დაიწყონ მოლაპარაკების მაგიდასთან საზოგადოებრივი დაძაბულობის გადაწყვეტის, კონფლიქტების მოწესრიგების გზების ერთობლივი ძიება.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია მოლაპარაკებაში დამოუკიდებელ პარტნიორად მიიჩნევს ყველა ორგანიზაციას, მათ შორის ოპოზიციური მრეგვალი მაგიდის ორგანიზაციებსაც, რომლებიც დგანან კონსტიტუციურობის ნიადაგზე და თანამშრომლობის ვალდებულებას კისრულობენ კანონის საფუძველზე.

აყენებს რა თავის წინადადებას, ნათქვამია დოკუმენტში, უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას იმედი აქვს, რომ მას მხარს დაუჭერენ უნგრეთის საზოგადოების პასუხისმგებელი პოლიტიკური ძალები და საზოგადოებრივი აზრის უმრავლესობა, იგი მზად არის განიხილოს და მიიღოს ისეთი ინიციატივები, რომლებიც ხელს შეუწყობენ შედეგიანი მოლაპარაკების წინ წაწევას.

კულტურული კონტაქტები

განამტკიცებენ მეგობრობას

დაიწყო საქართველოს სსრ დღეები პოლონეთში

ვარშავა. საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის განმტკიცებას ხელს შეუწყობს საქართველოს სსრ დღეები პოლონეთში. ამერიკაკავკასიის ამ რესპუბლიკის 150-ზე მეტმა წარმომადგენელმა აქ ჩამოიტანა მდიდარი კულტურული პროგრამა. პოლონეთის დედაქალაქში ჩამოსულ საქართველოს სსრ ოფიციალურ დელეგაციას მეთაურობს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ლაბახუა.

საქართველოს დღეები დაიწყო პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ვარშავის სახლში ერთობაშად ორი გამოფენის საზეიმო გახსნით. „საქართველოს სსრ მეცნიერება, ტექნიკა და ეკონომიკა“ ასახავს ქართველ მეცნიერთა მიღწევებს. გოჩა დოლიძისა და ჯონი გოგაბერიშვილის ნამუშევართა გამოფენა დამთვალიერებელთა აცნობს ქართველი მოქანდაკეების ხელოვნებას. გამოფენების გახსნას დაესწრნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პროფესორი იანუშ რეიკოვსკი, პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მთავარი გამგეობის თავმჯდომარე გენრიხ ბედნარსკი, სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ვლადიმერ ბროვიკოვი.

საქართველოს სსრ დღეების მარშრუტები გაიკვლის სახალხო პოლონეთის 15 ქალაქში. პოლონელ მაყურებელს თვითონ ხელოვნებას გააცნობენ სახელგანთქმული კოლექტივები — თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, საქართველოს სსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“, „მარიონეტების“ თეატრი, საესტრადო ანსამბლები. ლექტორთა დიდი ჯგუფი პოლონელებს ესაუბრება საქართველოს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებზე.

მეგობრობის დღესასწაული 15 მაისამდე გასტანს.

ვარშავა. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. იარუზელსკიმ აქ დაათვალიერა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახლში გახსნილი გამოფენა, რომელიც მიეწყო პოლონეთში საქართველოს დღეების ფარგლებში. ექსპოზიცია, რომელიც ასახავს ამ საბჭოთა რესპუბლიკის მიღწევებს მეცნიერების, ტექნიკისა და ეკონომიკის დარგში, პოლონელთის ხელმძღვანელს გააცნო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზურაბ ლაბახუამ.

სურათზე: საქართველოს გამოფენა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახლში.

საქინფორმის ფოტო.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **მადრიდი.** საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის სახელმწიფო ჰიმნები შესრულდა მადრიდის სასაფლაოზე ფუენკარალში, სადაც გაიმართა „1936-1939 წლების საბჭოთა მოხალისეების ხსოვნის“ მემორიალის გახსნის საზეიმო ცერემონია.

● **სტოკჰოლმი.** მთავარმა პროკურორმა ანდერს ბელინმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პროკურატურა აპირებს 22 მაისს ოფიციალური ბრალდება წაუყენოს 41 წლის შვედს, რომელიც ეჭვმიტანილია ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ულოფ პალმეს მკვლელობაში. ამასთან დაკავშირებით მოკვლევის ორგანოებმა, განაცხადა მან, შუამდგომლობა აღძრეს სასამართლო ხელისუფალთა წინაშე იმის გამო, რომ კიდევ ორი კვირით გააგრძელონ დამნაშავის პატიმრობაში ყოფნის ვადა.

გასტროლების ფონ

მ. როსტროპოვიჩი: ყველაზე მღელვარე მომენტი ჩემს ცხოვრებაში

ვაშინგტონი. სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი მ. როსტროპოვიჩის ხელმძღვანელობით გაიხადა 12-16 თებერვალს ორ-ორ კონცერტს გამართავს მოსკოვსა და ლენინგრადში.

„ეს ერთ-ერთი ყველაზე მღელვარე მომენტია ჩემს ცხოვრებაში, — თქვა ორკესტრის დირიჟორმა და მუსიკალურმა ხელმძღვანელმა. — ჩვენი მოგზაურობა შესაძლებელი გახდა ჩემს სამშობლოში განახლების, საჯაროობისა და გარდაქმნის პოლიტიკის წყალობით. მე დიდად კმაყოფილი ვარ, რომ შექმნება შესაძლებლობა წარმოვაჩინო ჩემი მუსიკოსის შედეგები ქვეყანაში, რომელმაც აღმზარდა“.

გამართულ პრესკონფერენციაზე როსტროპოვიჩს შეეკითხნენ: — თქვენ წინათ ამბობდით, რომ საშშობლოში დაბრუნდებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღდგენილი იქნება თქვენი და თქვენი მეუღლის საბჭოთა მოქალაქეობა. იგი უკვე აღდგენილია?“.

— „არა, — უპასუხა როსტროპოვიჩმა, — მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა დაბრუნებას, არამედ მოგზაურობას საბჭოთა კავშირში ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. არცთუ დიდი ხნის წინათ ეს შეუძლებელი იყო. ეს უზარმაზარი წინგადადგმული ნაბიჯია. მე არ მწყინს, რომ ყველაფერი უმალ არ კეთდება. მე მესმის, თუ რა ბევრი პრობლემა აქვს ჩემს ქვეყანას, და არ მომაჩნია, რომ პირველ რიგში ჩემი საქმით უნდა დაინტერესდნენ. მე არ მსურდა საბჭოთა კავშირის მიტოვება. მე გამაძევეს. ბრძანებულებას მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ ბრეჟნევმა მოაწერა ხელი, და ახლა საქმე ეხება მისი მრავალრიცხოვანი შეცდომის გამოსწორებას. მე ვიწერ და ყურადღებით ვკითხულობ საბჭოთა გაზეთებს. „სოვეტსკაია კულტურაში“ წერდნენ, სასურველია სსრ კავშირში როსტროპოვიჩის და ბარიშნიკოვის კონცერტები გაიმართოსო. ამის შემდეგ გაზეთმა მრავალი წერილი მიიღო. ერთ-ერთი მათგანის ავტორი წერდა, არ არის საჭირო სამშობლოს მოღალატეებს მოწვევაო. როცა ჩვენ მოქალაქეობა ჩამოგვართვეს, პრესაში თითქოს და დირიჟორის ჯოხის აქნევით, კამპანია გაჩაღდა, რომლის დროსაც ანტისაბჭოთა საქმიანობას გვაბრალებდნენ, კერძოდ, იმას, რომ მე თითქოს კონცერტებს ვმართავდი ანტისაბჭოთა ორგანიზაციების სასარგებლოდ. ეს მტკნარი სიცრუეა. ეს არასოდეს მომხდარა. მე მგონია, საჭიროა ხალხს უთხრან, რომ ჩვენ მოღალატეები არა ვართ, რათა ადგილი არ ჰქონდეს ასეთ წერილებს, რაც ჩემთვის სახეში შეფურთხებაა“.

მეორე რეპორტიორმა ჰკითხა როსტროპოვიჩს: „თქვენ ამბობდით, სსრ კავშირში მოგზაურობას არ დათანხმდებით მანამ, სანამ იქ თავისუფლება არ ექნებათ მსახიობებსო. მიგაჩნიათ, რომ იგი ახლა აქვთ?“ „დიახ“ — უპასუხა დირიჟორმა. მან დაადასტურა, რომ სსრ კავშირში მასთან ერთად გაეგზავრება მისი მეუღლე, მომღერალი გალინა ვიშნევსკაია.

„ტურნე, რომლის წარმატებაშიც ეჭვი არ გვეპარება, საჯაროობისა და გარდაქმნის სულისკვეთებას, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ახალ ხასიათს შეესაბამება“. — თქვა პრესკონფერენციაზე სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ი. დუბინინმა.

ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, რომელსაც 1977 წლიდან როსტროპოვიჩი ხელმძღვანელობს, ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება შეერთებულ შტატებში. მას „ბინა“ უდგევს ჯონ კენედის სახელობის ხელოვნების ცენტრში. ყოველწლიურად ორკესტრი მართავს 200-მდე კონცერტს დედაქალაქში, შეერთებულ შტატებსა და საზღვარგარეთ ტურნეს დროს.

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქის ორკესტრი, იგი ყოველთვის უკრავს ქვეყნის პრეზიდენტების მიერ თანამდებობის დაკავების ცერემონიაზე.

სახელმწიფო კომისია მუშაობს

გულწრფელობის დემონსტრაცია

10 მაისს გაიმართა სახელმწიფო საგამოძიებო კომისიის მესამე სხდომა. ზოისმინეს თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის **რომან გვენ

აპოლოგია ქართული ჯვრისა

„ქართველებო, სდექით ფხიზლად და ფიცხლად“

* წარწერა იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან.

მცირე პროლოგი

ქართველი კაცისთვის ჯვარი სიცოცხლეა — სინათლე და ნათელი ზესთასოფლური.

სათელი რომ ინვის, მისი შუქიც, მისი სხივცემაც ჯვარსახოვანია.

ჯვარი და ნათელი განუყოფელი ცხეული („მოთოსხეული“) და განუყოფელი სულია („მონოსული“).

მზე და სინათლე, ანუ „მზიური სათელი“, ქართული მითოსით, თავს იყრის სალოცავ ტრიადაში — ჯვარი, ქალის თმა, ვაჟი.

ყოველივე ეს მისტიკაა, ანუ ზეცნობიერი პირველსაწყისის ემანაციი.

* * *

მაგრამ ზოგჯერ რეალურ ისტორიასაც უჯვარს გასაოცარი, გონებითაც შეუცნობადი, სიმბოლოეაით თაძაძი.

სამაგალითოდ, საქართველოს ისტორიიდან, აეეთი საკვირველი დაძთხვევა, და რაღაც მისტიური ზიარება ორი დროისა, ორი სივრცისა და ორი ხალხისა:

ორი დრო — 586 ქრისტეს დაბადებამდე და 586 ქრისტეს დაბადებიდან;

ორი სივრცე — პალესტინა და საქართველო;

ორი ხალხი — ებრაელები და ქართველები.

პირველს დავუბრუნდეთ — დროთა რიცხობრივ და ციფრობრივ თანხვედრილობას: ქრისტეს წინარე 586 წელს ნაბუქოდონოსორ ბაბილონელისგან დახვრეული და დატყვევებული („ბაბილონის ტყვეობა“) იერუსალიმიდან საქართველოში მოვიდნენ და დამკვიდრნენ ებრაელები, ხოლო ქრისტეს შემდგომ 586 წელს საქართველოში აშენდა ქართული ხუროთმოძღვრების მშვენება — მცხეთის ჯვრის ტაძარი.

მაშ 586 + 586 = 1172.

აი, ქრონოლოგიური მანძილი „ბაბილონური ტყვეობიდან მცხეთის ჯვარის მონასტრის დაარსებამდე, ანუ ერთი უდიდესი ნაკვეთი ებრაელთა და ქართველთა თანაცხოვრებისა და „თანაქართველობისა“.

ხოლო, უკეთუ დროის ამ მონაკვეთიდან (1172) ჟამთათვლას დღეძდე მოვიყვანთ, აღმოჩნდება, რომ სწორედ წლეულს სრულდება 2575 წელი ებრაელთა საქართველოში დამკვიდრებიდან.

მაგრამ აქ მცხეთის ჯვარს ვტოვებთ და სიტყვას ვინყებთ მეორე დიდ ქართულ ჯვარზე.

ესაა ქართული ჯვარის მონასტერი და სავანე იერუსალიმში.

იგი დაარსდა 1025-1065 წლებში, ანუ, საქართველოში ებრაელთა მოსვლიდან დაახლოებით 1640 წელს და მცხეთის ჯვარის აშენებიდან 440 წელს.

მანამდეც, ქართულ სატაძრო მშენებლობას პალესტინაში 700 წლის ისტორია ჰქონდა. ამას საფუძვლად ედო თვითონ ქართული ეკლესიის იერუსალიმური წარმომავლობა.

საერთოდ, ახლო აღმოსავლეთი ქართველებისთვის იყო ინტენსიური კულტურული ურთიერთობის სამყარო (პალესტინა, სინა, საბაწმიდა, პალავრა, ანტიოქია. შავი მთა), მაგრამ განსაკუთრებული მიმზიდველობისა და მისწრაფების „ჯადო ქვეყანა“ მაინც პალესტინა-იერუსალიმი გახლდათ.

და აქ, იერუსალიმსა და მის სანახებში სახელოვანი ჯვრის მონასტრის წინამორბედნი იყვნენ:

IV საუკუნეში — ხარიტონის პალავრა, ექვთიმეს ლავრა, თეოდოსის ლავრა;

V საუკუნეში — სახელოვანი პეტრე იბერიელისა და იოანე ლაზისაგან დაარსებული მონასტრები და სავანეები;

V-VI საუკუნეებში — საბაწმიდა, თავისი შემადგენლობით: დიდი ლავრა, ახალი ლავრა, შვიდპირი, კასტელი, ქუაბი, სქოლარი, ზანოი, ქსენადუქი და სასნეულოი.

და, მთელი შვიდასი წლის მანძილზე, აქ ჩამოთვლილ ქართულ სავანეებში სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ და იღვწოდნენ: ხარიტონი, ექვთიმე, თეოდოსი, პეტრე იბერიელი, იოანე ლაზი, საბა გაანმწმენდილი, მარტვირი საბაწმინდელი, იოანე მოსხი, სეითი, მაკარი ლეთელელი, პიმენ კახი, ამონა, ბასილი საბაწმინდელი, გიორგი ტფილელი, არსენი, იოანე-ზოსიმე, სვიმეონ მგალობელი, მიქაელ ჩიხუარელი, იოანე საფარელი, პავლე პალავრელი, თეოდორე პალავრელი, გრიგოლ ხარიტონწმიდელი, სტეფანე პალავრელი, გიორგი-პროხორე.

და, სწორედ გიორგი-პროხორე შევიდა ისტორიაში, როგორც აღმშენებელი იერუსალიმის ჯვარის მონასტრისა და მის გარშემო ქართული კოლონიის დამკვიდრებისა.

„ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი გიორგი-პროხორე, სახელად ოდენ მღდელი, ხოლო საქმითა არა ღირსი, რომლითა შემძლებელ ვიქმენ უძღურებითა და სიგლახაკითა ჩემითა აღშენებად წმიდასა ამას ცხოველსმყოფლისა ჯვარისა ადგილსა“, ამბობს თვითონ გიორგი-პროხორე ერთ მინაწერში.

აქ ხაზგასმულია სწორედ „ადგილის“ გამორჩეული მნიშვნელობა, რაიც დაწვრილებით ვლინდება შემდეგ მონათხრობში: პირველად აქ ბიბლიურმა ლოთმა ერთად დარგო ლიბანის მთიდან ჩამოტანილი სამი ჯიშის ნერგი — სარო, ფიჭვი და ნაძვი; და, სასწაულებრივად, სამივე ერთ დიდ ხედ შეერთდა და გაიზარდა. ხე იგი შემდგომში მოჭრა სოლომონ ბრძენმა, თავისი სახელოვანი ტაძრის მშენებლობისთვის, მაგრამ ვერ გამოიყენა და იქვე დატოვა, ტაძრის გარეთ. ათასი წელიწადი ასე იწვა ეს ხე, როგორც მლოცველთა ჩამოსასხდომი და დასასვენებელი ადგილი. ხოლო, როცა დადგა ჟამი იესო ქრისტეს ჯვარცმისა, ჯვრის გასათლელად და შესაკრავად სწორედ ეს ხე ასნიეს და წაიღეს.

და ქრისტეს ჯვარცმის დღიდან, ადგილსაც, სადაც ის ხე მოიჭრა, ჯვარი უწოდეს.

აუარებელი პილიგრიმი აწყდებოდა ამ ადგილს სალოცავად. მიდიოდნენ და ლოცულობდნენ იმ ღვთაებრივი ხის გადასაჭერზე, რომელიც უბერებელი ცხოველმყოფლობით განაგრძობდა სიცოცხლეს საუკუნეთა განმავლობაში.

IV საუკუნეში ეს ადგილი შეიძინა და აქვე პირველი სამლოცველო ააგო ქართველთა პირველმა ქრისტიანმა მეფემ მირიანმა.

ხოლო, დიდი ჯვრის მონასტრის მშენებლობა მაცხოვრის ჯვარცმიდან 1000 წლის შემდეგ დაიწყო.

აქაც საოცრად სიმბოლური დამთხვევაა: მცხეთის სვეტიცხოველიც და იერუსალიმის ჯვარი-ცხოველიც ორივე „ცხოველია“. ორივე ლიბანური ხისგანაა...

მაშ, 1025 წელს, პალესტინაში მოღვაწე ქართველმა (მავშეთიდან) გიორგი-პროხორემ საძირკველი ჩაუყარა საქართველოს ახალ საზღვარგარეთულ რელიგიურ და კულტურულ-საგანმანათლებლო კერას — „ჯუარსა იერუსალიმისასა“.

მშენებლობის მფარველი და ფინანსური მზრუნველი იყო საქართველოს მეფე ბაგრატ IV.

გიორგი-პროხორემ ტაძრის აშენებიდანვე შემოიკრიბა პალესტინაში მანამდე მოღვაწე, ან ახლად წვეული თანამემამულენი. ამათგან პირველნი იყვნენ: იოანე დვალი, მიქაელ დვალი, იოანე შავი, მიქაელ ჩიხუარელი და გაბრიელ საყვარელი.

და გაჩაღდა დიდი „მწიგნობრობა ქართული“ ქართველთათვის მარად „საყუარელ და საწადელ“ იერუსალიმურ გარემოში.

მაგრამ დასაბამითვე უმძიმესი და ურთულესი აღმოჩნდა ქართველთა ცხოვრება უცხო ქვეყანაში. ეს სიმძიმენი და ურვანი კი უკავშირდებოდა თვითონ პალესტინისა და მისი მკვიდრი ებრაელი ხალხის მწარე ხვედრს — უცხო ტომთა დაუსრულებელ შემოსევებს, ომებსა და სისხლისთხევას.

1071 წელს თურქ-სელჩუკებმა აიღეს და დაარბიეს იერუსალიმი, აიკლეს და ნაწილობრივ, დაანგრიეს კიდეც ჯვრის ქართული მონასტერიც.

მერე, დიდი დავით აღმაშენებლის წაქეზებით, ზრუნვითა და მფარველობით, ქართველმა პატრიოტებმა კვლავ აღადგინეს, მოხატეს და მოკაზმეს ჯვარი იერუსალიმისა, ისევ გაჩაღდა სამწერლობო და სააზროვნო მოღვაწეობა. აქ მოვიდა და სამოღვაწეოდ დაემკვიდრა „ჯვარელთა მეორე თაობა“: მიქაელ გვირგვინისძე, არსენ იყალთოელი, ნიკოლოზ გულაბერისძე და... შოთა რუსთაველი.

დიდ, განუწყვეტელ მზრუნველობას იჩენდა იერუსალიმის ჯვრის სავანისადმი თამარ მეფე, რომელმაც 1192 წელს საგანგებო ელჩობა აწვია ქართველთა იერუსალიმურ კოლონიას, ადგილზე ყოველივეს დაწვრილებით შესასწავლად და სამომავლოდ მატერიალური, პოლიტიკური თუ სულიერი შემწეობის გასაფართოებლად.

XII საუკუნე „ოქროს ხანაა“ საქართველოსი — დრო, როცა ქართველთ უფლება აქვთ ლაღად გაშლილი ეროვნული დროშებით გაიარონ იერუსალიმის ქუჩები.

თამარის შემდგომ კი... ისევ უსაშველოდ აიმღვრა, აირია და აიჩეხა წინა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის სამხედრო-პოლიტიკური სამყარო. კვლავ დაიპყრეს და აიკლეს პალესტინა უცხო ხალხებმა.

1273 წელს ჯვრის მონასტერი ქართველებს წაართვეს და მეჩეთად აქციეს.

მხოლოდ ოცდაათი წლის შემდეგ გამოიხსნეს და ააღორძინეს ქართველებმა თავიანთი სავანე.

XIV საუკუნის პირველ ნახევარში, გიორგი V ბრწყინვალის ზეობისას (1314-1346), საქართველოც აღსდგა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის „ოქროს მემკვიდრეობით“. ბუნებრივად, პალესტინა-იერუსალიმის ქართულ სავანეებსაც დაეტყოთ ეს აღზევება. გიორგი ბრწყინვალის მოთხოვნით, ეგვიპტის სულთანი ნებას რთავს ქართველთ კვლავაც იაროონ იერუსალიმის ქუჩებში „მათის ნებისად“ — ცხენზე ამხედრებულთ და ეროვნული დროშების ფრიალით.

XV საუკუნის დამდეგს ისევ დაარბიეს იერუსალიმის ჯვარი მუსლიმანებმა. სამოცი წლის შემდეგ კი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილმა და მზეჭაბუკ ათაბაგმა გამოიჩინეს მზრუნველობა მის აღსადგენად და გასაალბად.

1516 წელს პალესტინა თურქოსმალებმა დაიჭირეს. ისევ ჩავარდა შეჭირვებაში ჯვრის მონასტერი.

XVII საუკუნის 40-იან წლებში გამოჩენილმა საეკლესიო მოღვაწემ და დიპლომატმა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა (ნიკიფორე ირბახი), ლევან II დადიანის მატერიალური დახმარებით, დიდი აღმშენებლობა გააჩაღა იერუსალიმის ქართულ სავანეში: შეაკეთა, მოახატვინა და მოაკაზმვინა მთავარი ტაძარი, გუმბათი, კედელი, დამხმარე ნაგებობანი, სათავსოები, შრამელები.

იმავე საუკუნის 80-იან წლებში, იერუსალიმის ჯვრის სავანისთვის ბევრს ზრუნავდა ქართველთა მეფე გიორგი XI...

მცირე ეპილოგი

დგას ფეხზე იერუსალიმის ქართული ღვთის სახლი, ღვთიგაკურთხეული რუსთაველის სახიერებით დამშვენებული, სიმბოლური ნიშანსვეტი, ერთი მხრივ — საერთო-საკაცობრიო სულიერი სასოებისა, მეორე მხრივ — ორი ხალხის, ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ძმობისა და სიყვარულისა.

დგას და ელის ქართულ განახლებას და აღორძინებას, სწორედ **ქართულს!..**

შორს, დედამინის შუბლზე (კავკასიონზე) საქართველოა მიფენილი, სამშობლო იერუსალიმური ჯვარსახოვანი ღვთის სახლისა.

იქვეა მცხეთა, საქართველოს ძველი სატახტო — ძველი ქართველებით, ძველი ებრაელებით.

იქვე — მცხეთის ჯვარი და მცხეთის სვეტიცხოველი,.. ორივ „ცხოველი“ — ჯვარიც და სვეტიც, ისევე, ვითარცა ცხოველ არს ჯვარი იერუსალიმისა.

და კიდევ, იქვე, მცხეთის მიწაში — კვართი უფლისა, ქართველმა ებრაელებმა, ელიოზ მცხეთელმა და ლონგინოზ კარსნელმა რომ მიუძღვნეს და მიუბედნიერეს საქართველოს.

მინაწერი: წერილი ესე დაინერა 1989 წლის 9 აპრილს, ან და მარადის საქართველოს გლოვისა და გოდების დღეს... და ეძღვნება იერუსალიმის გოდების კედელს...

ლევან სანიკიძე.

სურათზე: ჯვრის მონასტერი იერუსალიმში.



ვიქტორ დოლიძის საიუბილეოდ

გაისად, 18 ივლისს სრულდება დიდი ქართველი კომპოზიტორის, ქართული კლასიკური მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის ვიქტორ დოლიძის დაბადების 100 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში შეიკრიბნენ შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, ხელოვნების მოღვაწენი.

თათბირზე ფართოდ გაშუქდა ვ. დოლიძის, როგორც კლასიკოსის — ეროვნული კომიკური ოპერის შემქმნელის ღვაწლი ქართულ ხელოვნებაში. ერთსულოვნად გამოითქვა აზრი, რომ ამ დიდებული ხელოვნის საიუბილეო თარიღი მაღალ შემოქმედებითსა და ორგანიზაციულ დონეზე აღინიშნოს, რისთვისაც შეიმუშავეს კომპლექსურ ღონისძიებათა ვრცელი გეგმა. წლეულს მისში გამოცხადდება საოპერო თეატრების ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა საკავშირო კონკურსი, რომლის საგალდებულო პროგრამა ითვალისწინებს ვ. დოლიძის, ასევე ქართველ და საზღვარგარეთელ კომპოზიტორთა სარომანსო, საოპერო ჟანრის ნიმუშებისა და ხალხურ სიმღერათა შესრულებას.

კონკურსში გამარჯვებული და სპეციალური პრიზის მფლობელი მონაწილეობას მიიღებს კომპოზიტორის საიუბილეო საღამოში. თბილისისა და ქუთაისის საოპერო თეატრის სპექტაკლებში. ნავარაუდევია გრამფირფიტების ჩამწერა ფირმა „მელოდიამ“ გამოსცეს კონკურსში გამარჯვებულთა ფირფიტა. გამოსაცემად მზადდება აგრეთვე ოპერა „ქეთო და კოტეს“ ალბომი (დირიჟორები — შ. აზმაიფარაშვილი და დ. მირცხულავა).

რადიო და ტელეგადაცემებით საგანგებოდ აღინიშნება კომპოზიტორის დაბადების დღე — 18 ივლისი.

საქართველოს ტელევიზიით ნაჩვენები იქნება ფილმი „ქეთო და კოტე“. წლის მანძილზე ამ ფილმს უჩვენებენ, აგრეთვე, რესპუბლიკის კინოთეატრებში. გამოითქვა აზრი, შეიქმნას ვიქტორ დოლიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი დოკუმენტური ფილმი.

მუსიკის საერთაშორისო დღეს, პირველ ოქტომბერს, თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ფოიეში გაიხსნება ვ. დოლიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ვრცელი გამოფენა, რომელზეც პირველად იქნება წარმოდგენილი კომპოზიტორის საარქივო მასალა და მემორიალური ნივთები. გამოიცემა მ. ფიჩხაძის მონოგრაფია და ლ. დონაძის ბროშურა (ეს უკანასკნელი — ქართულ და რუსულ ენაზე).

დაისვა თბილისში კომპოზიტორის ძეგლის აღმართვის საკითხი. გამოითქვა აზრი, საიუბილეო წელს საყოველთაოდ აღიარებული ოპერა „ქეთო და კოტესთან“ ერთად აეღორდეს კომპოზიტორის სხვა ნაწარმოებებიც.

აღნიშნული კონცერტების პროგრამების შემუშავება საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს ეთხოვა. გათვალისწინებულია სხვა საკითხების მოგვარებაც.

საიუბილეო ღონისძიებები გაიმართება მახარაძეში, ქუთაისსა და თბილისში. ყოველივე ამას დაადგირგვინებს საიუბილეო საღამო, რომელიც ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება 1990 წლის დამლევს.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი



უცნობი ჯარისკაცის საფლავთან. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა საგანგებო სხდომაზე განიხილა ცენტრალურ პრესაში და ტელევიზიით თბილისის 9 აპრილის ტრაგიკული ამბების გაშუქებასთან დაკავშირებული საკითხები.

იმსჯელეს მთელ რიგ მასალებზე, რომლებიც საჯდესის, საინფორმაციო პროგრამა „ვრემიას“, გაზეთების „კრასნაია ზვეზდას“, „მედიცინსკაია გაზეტას“, „სოვეტსკაია როსიას“ და სხვა გამოცემების ჟურნალისტებმა მოამზადეს, აგრეთვე მოისმინეს ინფორმაცია საქართველოში ცენტრალური გაზეთების ზოგიერთი საკუთარი კორესპონდენტის მიერ სამუშაოს დატოვების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის ხელმძღვანელობას გაუგზავნოს მოთხოვნა, რათა გამგეობის პლენუმზე საგანგებოდ განხილულნ ყველა ის მასალა, რომლებიც თბილისის აპრილის ამბებთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ცენტრალური მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, და პრინციპული შეფასება მისცეს იმ არაობიექტური, დეზინფორმაციული მასალების ავტორებს, რომლებიც ზიანს აყენებენ ხალხთა მეგობრობას. გარდა ამისა, „დაწვრილებით გამოიკვლიონ მიზეზები, რომლებმაც განაპირობა საქართველოში საკავშირო გამოცემათა ზოგიერთი საკუთარი კორესპონდენტის სამუშაოდან წასვლის გადაწყვეტილება.

გამგეობის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე გახმოორებით აღძრას საქართველოს ჟურნალისტთა „კავშირის პერიოდული ბეჭდვითი ორგანოს შექმნის საკითხი.

სპორტის ამბები

ვიტალი დარასელიას გოლეგი

დამთავრდა ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი, რომელიც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ბორის ქელიძის ხსოვნას მიეძღვნა. შეჯიბრების მთავარი პრიზი მოიპოვა თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდმა — „მამული-1“, მან რვავე მეხვედრა მოიგო და 16 ქულა მოაგროვა. ტურნირი, რომელშიც 9 გუნდი მონაწილეობდა, წრიული სისტემით მოეწყო, თუმცა რაკი „მამული-1“ და ამავე სკოლის მეორე გუნდი „ლილა“ დაუმარცხებლად იბრძოდნენ. მათი ბოლო შეხვედრა ფინალის ტოლფასი გამოდგა. გადამწყვეტი მატჩი სტუდქალაქის სტადიონზე გაიმართა. ვიტალი დარასელიას მიერ გატანილმა გოლმა გამარჯვება და პირველი ადგილი „მამულს“ მოუტანა. სხვათა შორის, ამ ტურნირში „მამულის“ ფეხბურთელთა მიერ გატანილი 41 გოლიდან 15 გოლი ვიტალი დარასელიას ანგარიშზე მოდის. სპეციალისტები პატარა ვიტალის თავისი სახელოვანი მამის ღირსეულ მემკვიდრედ მიიჩნევენ და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

ტურნირში მეორე ადგილი „ლილემ“ დაიკავა — 14 ქულით, მესამე ადგილზე კი გორის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის მოსწავლეები გავიდნენ, — 12 ქულა. შეჯიბრების საუკეთესო ფეხბურთელებს გადაეცათ ორიგინალური სუვენირები, რომლებიც ტურნირის სპონსორებმა — თბილისის კოოპერატივ „რიყეს“ თანამშრომლებმა დაამზადეს.

ფეხბურთი

გამარჯვება თურქეთში

გუშინ, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა სტამბოლში დაამარცხა 1:0 თურქეთის ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონობის შესარჩევ მატჩში და 7 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა მესამე ევროპულ შესარჩევ ჯგუფში.

მოკლედ

● **9 მაისს გაიმართა პირველი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობის მორიგი ტურის შეხვედრები: „ტორპედო“-„ნეფთში“ — 1:1, „კოტაიკი“-„სპარტაკი“ — 3:0, „მეტალურგი“-ახ. როსტოვი — 1:0, „ფაკელი“-სტავროპოლის „დინამო“ — 1:1, „როსტსელმაში“ — „გურია“ — 1:1, ცსკა-„შინაკი“ — 6:0, „კუზბასი“-„გეოლოგი“ — 0:2, „დაუგავა“-„კოტაიკი“ — 0:0, ასკ „კარპატი“-„ფახთაქორი“ — 1:1, „ნისტრუ“-„უუბანი“ — 0:0, „ტავრია“-ბათუმის „დინამო“ — 2:0.**

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, ზოგან ჰექა-ქუხილი, დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 16-21, მთაში — 14-19, მაღალმთიანეთში — 10-15 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში: ცვლებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა, ჰექა-ქუხილი, შესაძლებელია სეტყვა, დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 20-25, მთაში — 16-21, მაღალმთიანეთში — 9-14 გრადუსი.

თბილისში მშრალი ამინდი, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 9-14, ქალაქის გარეუბნებში 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა — 23-25 გრადუსი.

გაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 13 მაისს.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

რეცენზიის მაგივრად

იქნებ გაყუჩდე, ტკივილო?!

საინგილო — ჩვენი გაუყოფელი ტკივილი სატკივარი, საინგილო — ჩვენი მოუშუშებელი იარა. ეკრანზე ჩანს ამ პატარა კუთხის უმშვენიერესი ხედები, დღეს თითქმის იავარქმნილი ქართული ციხე-ტაძრები და ეკლესია-მონასტრები... როგორ არ გაგახსენდეს პოეტის სიტყვები: „შენი მკვიდრი მიწა-წყალი ახატია სხვათა რუკებს, ნარიტაცა ზოგმა ძალით, ზოგს მიპყიდეს, ზოგს აჩუქეს...“.

საქართველოს დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანეში“ გადაღებული ფილმისთვის „ზღვარი“ დაურქმევიათ სცენარის ავტორსა და რეჟისორს ნიკო წულაძეს, ოპერატორებს ვაჟა აქიაშვილსა და დათო ნადირაშვილს, ხმის ოპერატორს გია აბაშიძეს, მეცნიერთა ჯგუფს — გიორგი მარჯანიშვილს, გიორგი გაგოშიძეს, გურამ ფვანიასა და ანა მიქაძეს. ესენი ახალგაზრდები არიან, თავიანთი დამოკიდებულება აქვთ საინგილოს პრობლემებისადმი და ცდილობენ შეულამაზებლად დაგვანახონ კიდეც ეს პრობლემები. ავტორებს წინა პლანზე საინგილოს უძველესი კულტურის ძეგლთა დღევანდელი მდგომარეობა წამოუწევიათ და, ჩემი აზრით, სწორადაც მოქცეულან — ახალ თაობას, იქნებ, ის მაინც ვანახოთ, თუ რა მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობდა საუკუნეთა მანძილზე ისტორიული პერეთი, რას აგებდა და ამკვიდრებდა ამ მიწაზე ქართველი კაცი. V-VIII საუკუნეებში ეს კუთხე ხომ ქართველის სამეფოში შედიოდა, XI საუკუნეში ჰერეთი გაერთიანებულ საქართველოში მოაქცია დავით აღმაშენებელმა, მონღოლთა ბატონობის პერიოდში უკვე თანდათან სუსტდება ყოველივე ქართული, ნელ-ნელა ჩამოსცილდა აქაურობა დედასაქართველოს და, ბოლოს, ორასიოდე წლის წინათ საინგილო ეწოდა...

ფილმში, ცხადია, ყველა ძეგლსა და ეკლესია-მონასტერს ვერ ვეახავდით, ისინი უამრავია საინგილოს ტერიტორიაზე. ვისაც ეს ბედუკულმართი კუთხე მოუვლია, შეამჩნევდა, რა ფანტაზიისა და გარჯის ფასად უშენებია ჩვენს წინაპარს ეს ძეგლები საინგილოს ბარში. თუ ზეგანზე, მაგრამ, სამწუხაროდ, იმასაც შეამჩნევდა, რა დღეშია ეს ძეგლები ამჟამად, რა სასწრაფოდ, დაუხანებლად მოითხოვს მზრუნველ ხელს, თორემ სულ მალე ნანგრევებიღა დაგვრჩება, შამბნარგადაკვლილი ძეგლების ნაფუძარიღა დაგვრჩება... ვაი, რომ ბევრს ვეღარც ვუშველით... ამასაც გვიჩვენებს ნიკო წულაძე თავის ფილმში...

ფილმის ნახვიდან ორი თვის შემდეგ

რა დასამალია და, საინგილოს ზოგი პრობლემის გადასაწყვეტად ორმა მეზობელმა რესპუბლიკამ, დიდხანს ვერ გამონახა საერთო ენა, და აი, იმედის სხივმა გამოაშუქა: უნდა წაიშალოს ვეებერთელა ზღვარი საინგილოს წარსულსა და დღევანდელობას შორის. როგორც 6 მაისს გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მორიგი სხდომის ანგარიშში ვკითხულობთ, „... ბიურომ მოიწონა საქართველო-აზერბაიჯანის კავშირურთიერთობის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცების ერთობლივი ძირითადი მიმართულებანი. კერძოდ, გადაწყვეტილია შეისწავლონ ექსპედიციებისა და გათხრების შესაძლებლობანი, განახორციელონ ეთნოგრაფიული და ფოლკლორული კვლევა.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული შეისწავლონ მოთხოვნილება და ხელი შეუწყონ ქართული სკოლა-ინტერნატების, ეროვნული სკოლებისა და საბავშვო ბაღების გახსნას აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკის ზაქათალის, ბელაქნის და კახის რაიონებში.

დანესდეს საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების უმაღლესი და სხვა სასწავლებლებისა და ორგანიზაციების შეფობა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისადმი.

ყოველნაირად შეადგინონ და განახორციელონ რაიონებისა და სოფლებისადმი შეფობაში კულტურულ-საგანმანათლებ ლ ო ურთიერთობის კონკრეტული გეგმები, მოაწყონ მატერიალური კულტურის ძეგლთა პასპორტიზაცია, შემდეგ კი რესტავრაცია.

გათვალისწინებულია აზერბაიჯანულ რადიოში შემოიღონ ყოველკვირეული გადაცემა ქართულ ენაზე 30 წუთის ხანგრძლივობით. აგრეთვე, თუ შესაბამისი სურვილი იქნა, მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითს საწყისებსა და კანონიერ საფუძვლებზე, ხელი შეუწყონ ინგილოებს, — ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონების მცხოვრებლებს — თავიანთი გვარებისა და ეროვნების აღდგენაში“.

ხედავთ, რა პერსპექტივებია?! იქნებ მართლაც ეშველოს რამეს, იქნებ მართლაც გაყუჩდეს ჩვენი ამ ხნის ტკივილი...

... ისევ იმ სალამოს ვიგონებ: ფილმი რომ დამთავრდა, ყველა უხმაუროდ, დაფიქრებული გამოვიდა დარბაზიდან. ანზორ დოლენჯაშვილთან ერთად, ამ რამდენიმე წლის წინათ, ქართული სიტყვის შემწეულ რომ მოევლინა საინგილოს — სახალხო თეატრი შექმნა ალიბეგლოში, შესანიშნავი სპექტაკლები დადგა და „ეროვნული გრძნობები აუკიაფა „ერთი ბეწო საქართველოს“, ახლახან კი საქართველოს ტელევიზიის დახმარებით, კინომოყვარულთა სტუდიაც ჩამოყალიბა, მაგრამ ეს მაინც ძალიან ცოტაა იმ პრობლემების ფონზე, რომლებიც დღესდღეობით საინგილოს აქვსო, გულდაწყვეტილი მითხრა ახალგაზრდა რეჟისორმა, ენთუზიაზმით აღსავსე კაცმა..

ნარმომიდგენია, რა გახარებულია დღეს დოლენჯაშვილი, მთელი მისი დასი, მთელი გულქართული საინგილო...

ვილენ მარდალეიშვილი.

ტელევიზია — ხუთშაბათი, 11 მაისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მღერის მართვე“. 13.45 — მასწავლებლის საათი. საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 15.30 — სამაისო. 16.35 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 17.05 — საინფორმაციო გამოშვება. 17.15 — ტელეუნივერსიტეტთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.45 — მოსწავლეთათვის. ქვეყნად მოარული კაცი. 19.00 — ეკო. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.40 — ვიმეორებთ, რომ არ დარჩეს ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. „მე ჯავახეთს რა მიშავდა“ (სოფელ კოთელიას პრობლემები). 21.35 — კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ქართული მხატვრული ფილმი „იყო შაშვი მგალობელი“. 23.45 — სპორტული გადაცემა „ევროპის სტადიონებზე“.

მეორე პროგრამა. 9.35—ქართული დოკუმენტური ფილმი „ალპური ვარსკვლავი“. 10.35—ქართული მხატვრული ფილმი „ზოგი ჭირი მარგებელია“. 11.55 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 12.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ტვირთი“. 13.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მღერის მართვე“. 13.45 — მასწავლებლის საათი. საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 14.15 — ქართული მხატვრული ფილმი „როცა აყვავდა ნუში“.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — მულტფილმები. 10.05 — მხატვრული ფილმი „სიჩუმე“. II სერია. 11.50 — ახალი ამბები. 12.00 — ბავშვის საათი. 13.00 — მოგზაურთა კლუბი. 16.30 — ახალი ამბები. 16.45 — სოფლის ჰორიზონტები. დოკუმენტური ტელეფილმი. 17.10 — „ცოცხლობს ჩრდილოეთში სიმღერა“. გადაცემა პიატიგორსკიდან. 17.40 — ახალი ამბები. 17.45 — ვკითხულობთ ლენინს. ვ. ი. ლენინი სოციალიზმის მშენებლობის სირთულეების შესახებ. 18.30 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 19.15 — ძალაუფლება — საბჭოებს. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — დოკუმენტური ფილმი „მკვდარი ზონა“. ქ. სუმგაითის ეკოლოგიური სიტუაცია. 20.20 — მულტფილმები დიდებისათვის. 20.40; 22.40 და 0.25 — ლიტერატურულ-მხატვრული ვიდეოარხი. 22.00 — „ვრემია“. 0.10 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.35 და 10.35 — ბუნებისმეტყველება. III კლასი. 10.05 და 12.05 — ესპანური ენა. 11.05 — ჩვენი ბაღი. 11.35 და 12.35 — ა. ტ. ტვარდოვსკი. „ვასილი ტიორკინი“. VII კლასი. 13.05 და 18.00 — მხატვრული ტელეფილმი „ჩრდილოური რაიონი“. VII და VIII სერია. 13.55 — ახალი ამბები. 19.00 — დოკუმენტური ტელეფილმი „კავკასიის სახელმწიფო ნაკრძალზე“. 19.25 — მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიის ანსამბლის კონცერტი რსფსრ დამსახურებული არტისტის ი. ბაშმეტის